საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან №174 (2288) ოთხშაბათი, 28 აგვისტო, 1996 წელი. ფასი 30 თეთრი. თბილისის გარეთ 35 თეთრი.

გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების გზაზე

ვლადიკავკაზი, 27 აგვისტო (საქინფორმის სპეც. კორ. ედუარდ ედიბერიძე). პრაქტიკულად ესხმება ხორცი მიმდინარე წლის მაისში მოსკოვში ხელმოწერილ მემორანდუმს ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ. ამ დოკუმენტის პრინციპებმა და სულისკვეთებამ, რომლებიც ეხმიანება კისლოვოდსკში გამოცხადებულ დეკლარაციას „კავკასიაში ეროვნებათშორისი თანხმობის, მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის", დასახა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პერსპექტივა, რაც შეიძლება გახდეს მთელ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენის წინამორბედი.

ამის დადასტურება გახდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ლუდვიგ ჩიბიროვის ვლადიკავკაზში 27 აგვისტოს გამართული შეხვედრა, რომელიც მოეწყო რუსეთის შუამავლობითა და ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის და საქართველოში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის აქტიური ხელშეწყობით.

ვლადიკავკაზში ჩასვლისთანავე, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა და პირისპირ ესაუბრა ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ახსარბეკ გალაზოვს, რის შემდეგაც გაიმართა მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეთა გაფართოებული სხდომა. ედუარდ შევარდნაძესა და ლუდვიგ ჩიბიროვთან ერთად, მასში მონაწილეობდნენ ახსარბეკ გალაზოვი, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში დიტერ ბოდენი, მათი თანმხლებ დელეგაციათა წევრები.

სხდომის გახსნისას, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმის შემდეგ ეს არის ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი, რასაც, როგორც მან თქვა, სხვა ასეთი ნაბიჯებიც უნდა მოჰყვეს. როგორც ახსარბეკ გალაზოვმა განაცხადა, ამან უნდა დაამყაროს მშვიდობა და თანხმობა არა მარტო კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის, არამედ ხელი უნდა შეუწყოს მთლიანად კავკასიაში მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას. სხდომაზე გამოსვლისას ედუარდ შევარდნაძემ და ლუდვიგ ჩიბიროვმა აღნიშნეს, რომ ამ შეხვედრაზე მოვიდნენ პასუხისმგებლობის გრძნობით, კარგად აქვთ შეგნებული იმ რთული ამოცანების მთელი სიღრმე და სერიოზულობა, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ. ითქვა, რომ კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებას ალტერნატივა არა აქვს. სწორედ ამით აპირებენ იხელმძღვანელონ ორ ხალხს შორის ტრადიციული კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის აღდგენისათვის გამიზნული შემდგომი ძალისხმევის დროსაც.

შემდეგ ედუარდ შევარდნაძე პირისპირ შეხვდა ლუდვიგ ჩიბიროვს. შეხვედრამ თითქმის ორ საათს გასტანა.

ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ და ლუდვიგ ჩიბიროვმა ხელი მოაწერეს განცხადებას ქალაქ ვლადიკავკაზში გამართული შეხვედრის შედეგების შესახებ. **(განცხადება „საქართველოს რესპუბლიკის" დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე ქვეყნდება.)**

შეხვედრა განახლდა და მასში მხარეები გაფართოებული შემადგენლობით მონაწილეობდნენ. ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ახსარბეკ გალაზოვმა განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერის პირველი შეხვედრა, მათ მიერ ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა არის ისტორიული მოვლენა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ახალ პერსპექტივას სახავს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა შენიშნა, თვით ის ფაქტი, რომ ასეთი შეხვედრა გაიმართა მეგობრების შუამავლობითა და მხარდაჭერით, მას საეტაპო მნიშვნელობას ანიჭებს. ვფიქრობ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომ იგი გაიმართა გულახდილ, აშკარად საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში. საუბრის დროს განვიხილეთ პრობლემათა მთელი კომპლექსი, მათ შორის სადღეისოდ წამოჭრილი ყველაზე მწვავე საკითხები, რომლებსაც სასწრაფოდ სჭირდება გადაწყვეტა. მთავარია, თქვა, რომ შეხვედრა გაიმართა და მისი მთავარი შედეგი გახდა განცხადება, რომელიც კიდევ უფრო განავითარებს წინათ მიღებულ დოკუმენტებს.

საქართველოს პრეზიდენტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიღწეულ მორიგებას სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილ დელეგაციათა შექმნის შესახებ, რომლებიც უკვე უახლოეს მომავალში უნდა შეუდგნენ კონკრეტულ მუშაობას, იმოქმედონ მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმისა და მასში ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის და ხალხების თვითგამორკვევის უფლების პრინციპების საფუძველზე.

ედუარდ შევარდნაძემ ძალზე მნიშვნელოვანი უწოდა ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთა მშობლიურ კერებში დაბრუნების, მოსახლეობისათვის უშიშროების პირობების შექმნის, ადამიანებისათვის ყოველმხრივი დახმარების საკითხებზე გამართულ დიალოგს. მან თქვა, რომ კონფლიქტის მოწესრიგების შერეული საკონტროლო კომისიის შემადგენლობაში იმუშავებს სპეციალური ჯგუფი, რომელიც უშუალოდ მოჰკიდებს ხელს ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემების გადაჭრას.

დეტალური სჯა-ბაასი გაიმართა აგრეთვე ეკონომიკის, დარღვეული სამეურნეო კავშირების აღდგენის შესახებ და, როგორც აღინიშნა, ეს უნდა მოხდეს არა მარტო ორმხრივ, არამედ სამ- და ოთხმხრივ საფუძველზეც, რუსეთისა და, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მონაწილეობით.

საუბრის დროს წამოიჭრა აგრეთვე ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სამრეწველო საწარმოების მუშაობის, სამედიცინო მომსახურების, საფინანსო სფეროს მოწესრიგების საქმეში სამხრეთ ოსეთისათვის დახმარების გაწევისა და მხარდაჭერის საკითხები. აღინიშნა, რომ ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს საერთაშორისო ორგანიზაციათა დახმარება. ამასთან ერთად ითქვა, რომ საჭიროა დამყარდეს უშუალო ურთიერთობა უწყებებს შორის, უფრო მეტი ერთობლივი ძალისხმევა მოხმარდეს რეგიონში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

როგორც ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, მხარეთა პოზიციები ემთხვევა იმაშიც, რომ ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რაშიც განსაკუთრებული როლი ენიჭება პრესას, კულტურულ და სამეცნიერო ცენტრებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სამომავლოდ ასეთ შეხვედრებს სამუშაო ხასიათი ექნება, და მათი გამართვის პრაქტიკას შეიმუშავებენ დიალოგის პროცესში.

ლუდვიგ ჩიბიროვმა თქვა, რომ შეხვედრამ გაამართლა. ამასთან, მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსკოვში ხელმოწერილი მემორანდუმის მუხლების შესრულებას, მათი ხორცშესხმის გზების ძიებას. კერძოდ, პოლიტიკური, ეკონომიკური კავშირურთიერთობის დამყარებასთან ერთად ლუდვიგ ჩიბიროვმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ფორმების განვითარებას კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საქმეში. მან გამოთქვა რწმენა, რომ კონფრონტაციის ნაცვლად დამყარდება თანხმობისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო.

მისი აზრით, კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში პირველი პოზიტიური ძვრები საამისოდ კარგ საფუძველს ქმნის. მით უმეტეს, რომ ამ შეხვედრაზე განხილულ მთელ რიგ პრობლემათა თაობაზე გამოინახა შეხების წერტილები. თუმცა, როგორც სამხრეთ ოსეთის ლიდერმა თქვა, ჯერ კიდევ მრავლად არის ისეთი საკითხი, რომლებსაც უფრო ღრმა გააზრება სჭირდება სამშვიდობო პროცესის წინსვლის დაჩქარების მიზნით. „ამ შეხვედრას მივიჩნევ ნდობის საფუძველზე ურთიერთობისა და პარტნიორობის აღდგენის მექანიზმის შექმნის გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად" — თქვა ლუდვიგ ჩიბიროვმა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბორის პასტუხოვმა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა დიდი შეფასება მისცეს გამართულ დიალოგს. მათი აზრით, შეხვედრა შედეგიანი გამოდგა, რასაც ხელი შეუწყო ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის მიერ გამოვლენილმა პოლიტიკურმა სიბრძნემ. იგი უნდა გახდეს სამაგალითო იმ პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც დღესაც განაგრძობენ აზროვნებას რევანშისტული კატეგორიებით. როგორც ბორის პასტუხოვმა თქვა, რუსეთი იღონებს ყველაფერს საიმისოდ, რომ კავკასია კონფრონტაციის ზონიდან მშვიდობისა და სტაბილურობის ზონად იქცეს. დიტერ ბოდენმა დაადასტურა, რომ ევროპა მზად არის აქტიურად შეუწყოს ხელი ამ პროცესს. როგორც მან თქვა, „დრო იმათ წისქვილზე დაასხამს წყალს, ვინც უფრო სწრაფად წაიწევს წინ მშვიდობის მიღწევის გზაზე".

დასასრულ, ახსარბეკ გალაზოვმა მადლობა გადაუხადა ედუარდ შევარდნაძესა და ლუდვიგ ჩიბიროვს იმისათვის, რომ შეხვედრის გამართვის ადგილად მათ აირჩიეს ვლადიკავკაზი. ეს შეხვედრა, თქვა შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, დასახავს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი ამიერიდან ერთმანეთს უშუალოდ შეხვდნენ როგორც თბილისში, ისე ცხინვალში, რათა გადაჭრან საჭირბოროტო პრობლემები.

შეხვედრის მონაწილეებმა მისი შედეგები ჟურნალისტებს გააცნეს შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ვლადიკავკაზი, 27 აგვისტო: ხელმოწერის ცერემონიის დროს. სერგო ედიშერაშვილის ფოტო

მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

ახალი სტილით 28 აგვისტოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს.

როგორც ცნობილია, ჩვენი სამშობლო, საქართველო წილხვედრია ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა, ამიტომაც ქართველი ადამიანი განსაკუთრებით ევედრება ქალწულ მარიამს მეოხებასა და მფარველობას.

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი წმიდა მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა. მოციქულებთან ერთად იგი განამტკიცებდა ქრისტეს ეკლესიას. ქრისტეს შობიდან 43 წელს იგი წმ. იოანესთან ერთად ქ. ეფესოში გაემგზავრა, რათა ექადაგა სახარება. წმ. ქალწული იმყოფებოდა აგრეთვე კუნძულ კვიპროსზე, წმ. ლაზარესთან და ათონის მთაზე.

აღსანიშნავია, რომ საეკლესიო ისტორიაში შემორჩენილია ღვთისმშობლის გარეგნული აღწერა წმ. ამბროსი მედიოლანელის ნაწერებში, რომელიც ეყრდნობოდა წმ. მღვდელმოწამეების — დიონისე არეოპაგელისა და ეგნატე ღმერთშემოსილის გადმოცემებს და, აგრეთვე, XIV საუკუნის ისტორიკოსის ნიკიფორე კალისტის თხზულებებში.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ მოციქულების პერიოდიდან არის ცნობილი. I საუკუნეში ამის შესახებ წერდა დიონისე არეოპაგელი, II საუკუნეში ეპისკოპოსი მელიტონი, IV -ში წმ. ეპიფანე კვიპრელი, ხოლო V-ში იერუსალიმის პატრიარქი წმ. იუბენალი.

თავისი მიძინების მოახლოებისას წმიდა ქალწული მარიამი იერუსალიმში დაბრუნდა. მრავალი ბოროტი ადამიანი ცდილობდა სიცოცხლე მოესწრაფა მისთვის, რადგანაც მისი დიდება, როგორც ღვთისმშობლისა, საყოველთაოდ იყო ცნობილი, მაგრამ უფალი იცავდა მას. ღვთისმშობელი ხშირად მიდიოდა იმ გამოქვაბულთან, სადაც სამი დღე ესვენა იესო ქრისტეს სხეული და სადაც მოხდა მისი ბრწყინვალე აღდგომა. ამ გამოქვაბულთან წმ. ქალწული მხურვალე ლოცვებს აღავლენდა უფლისადმი. ერთხელ, მას გამოეცხადა წმ. მთავარანგელოზი გაბრიელი და ამცნო, რომ მოახლოებული იყო მისი ამა სოფლიდან განსვლა ღვთის სასუფეველში და ნიშნად პალმის რტო მიართვა. ზეციური სიხარულით აღვსილი დაბრუნდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი თანმხლებ ქალწულებთან ერთად, რომელთა სახელებია სეპფორა, ევიგეა და ზოილე — ბეთლემში. უფლის ნებით ქრისტეს მოციქულები, რომლებიც ამ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებში იმყოფებოდნენ, ღვთისმშობლის სახლთან შეიკრიბნენ, იქ იყვნენ იოსებ არიმათიელი, იოანე ღვთისმეტყველი, მოციქული პავლე და მისი მოწაფეები.

დადგა მესამე ჟამი, როდესაც უნდა მომხდარიყო ღვთისმშობლის მიძინება. გარემო ზეციური ნათლით გაცისკროვნდა. გამოჩნდა უფალი იესო ქრისტე, რომლის გარშემოც იყვნენ ზეციური ძალები, მამამთავრები და წინასწარმეტყველნი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა წარმოთქვა ლოცვა: „ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა". წმიდა ქალწულმა თაყვანი სცა თავის ძესა და უფალს და ამა სოფლიდგან მიიძინა საუკუნო ნეტარებად. გაისმა ანგელოსთა გალობა. „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის". მოციქულებმა მოწიწებით დაასვენეს ღვთისმშობლის სხეული სარეცელზე და სიონის მთიდან მთელი იერუსალიმის გაელით გაემართნენ გეთსამანიის ბაღისაკენ.

სატანის მიერ გაბოროტებულმა ფარისეველებმა და მწიგნობრებმა მსახურები გაგზავნეს, რათა დაერბიათ ეს პროცესია, მაგრამ მათ სასწაულებრივად წინ ღრუბელი ჩამოეფარათ. მსახურებს ესმოდათ ფეხის ხმა და გალობა, მაგრამ ვერავის ხედავდნენ. ამ დროს ებრაელთა მღვდელმა იოფანისმა სცადა გადაეყირავებინა სარეცელი, რომელზეც ღვთისმშობლის სხეული ესვენა, მაგრამ უფლის ანგელოსმა მას ორივე ხელი მოჰკვეთა. ნახა რა ასეთი სასწაული იოფანისმა შეინანა და თაყვანი სცა წმ. ქალწულს და იგი იმწამსვე განიკურნა.

პროცესიამ მხოლოდ საღამოს მიაღწია გეთსამანიის ბაღს. იმდროინდელი იუდეური ტრადიციის მიხედვით მოციქულებმა ღვთისმშობლის სხეული გამოქვაბულში დაასვენეს და შესასვლელს ლოდი მიაფარეს. თვითონ იქ დარჩნენ და დღეებს ლოცვაში ატარებდნენ. სამი დღის შემდეგ გამოქვაბულთან მივიდა წმ. მოციქული თომა, რომელიც არ ესწრებოდა ღვთისმშობლის მიძინებას. მან თხოვნით მიმართა მოციქულებს, გაეხსნათ საფლავი, რათა უკანასკნელად თაყვანი ეცა წმიდა ქალწულისათვის. როდესაც გამოქვაბული გახსნეს, იქ მხოლოდ ღვთისმშობლის სუდარა იყო. ამით შეიტყვეს მოციქულებმა, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი სხეულით ამაღლდა ზეცად.

მიძინების დღესასწაული განსაკუთრებით საზეიმოდ აღინიშნება გეთსამანიაში, მის საფლავზე. იქ აგებულია ტაძარი. ტაძარში შესასვლელად მლოცველი უნდა ჩავიდეს 48-საფეხურიან კიბეზე. იქვეა წმ. ქალწულის მშობლების წმ. იოაკიმესა და ანას და წმ. იოსებ დამწინდველის საფლავები. ეს ტაძარი 1900 წელს სულთანმა ჰაკიმმა დაანგრია, ხოლო შემდეგ ქრისტიანებმა ისევ აღადგინეს. ღვთისმშობლის სუდარა იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალიმ ბიზანტიის იმპერატორის მეუღლეს წმ. პულქერიას გაუგზავნა, რომელმაც ის ცნობილ ვლაქერნის ტაძარში დაასვენა. მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა მამებმა მრავალი თხზულება უძღვნეს ამ დღესასწაულს. აღსანიშნავია წმ. იოანე ოქროპირი, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი, წმ. იოანე დამასკელი, წმ. გრიგოლ პალამა — თესალონიკის მთავარეპისკოპოსი და მრავალი სხვა. ჩვენი წინაპრები თარგმნიდნენ ამ ნაწერებს. აღსანიშნავია X ს-ის კლარჯული მრავალთავი, სადაც შეტანილია იოანე ოქროპირის ქადაგება მიძინების შესახებ: „საიდუმლოსა ვხედავ, ძმანო ჩემნო საყვარელნო, საკვირველსა და მიუწვდომელსა და გამოუთქმელსა ფრიად, რამეთუ დღეს წმიდაი ქალწული ქვეყანისაგან ზეცად მიიცვალების დიდებასა გამოუთქმელსა და ძალნი ცათანი განჰკრთებიან და განკვირვებით იტყვიან — ვითარმედ მიწისაგანისა მის ადამის ასული უზეშთაეს ჩუენისა იქმნების".

მიძინების დღესასწაულზე მართლმადიდებელი ეკლესია ლოცულობს: „შობასა ქალწულებაი დაიმარხე და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღვთისმშობელო, მიხვედ ცხოვრებად დედა ეგე ცხოვრებისა, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა".

დეკანოზი

ბასილ კობახიძე,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წმ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის წინამძღვარი.

ქებნილნი „ნტვ"-ს ეკრანზე

სრულიად სერბეთის პატრიარქი თბილისში

გუშინ საქართველოს ხუთდღიან სამუშაო ვიზიტად ეწვია მისი უწმინდესობა, სრულიად სერბეთის პატრიარქი, პეჩის მთავარეპისკოპოსი და ბელგრად-კარლოვაცის მიტროპოლიტი პავლე.

საპატრიარქო რეზიდენციაში მის უწმინდესობას პავლეს დარბაზობა გაუმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ჩვენ მუდამჟამს ვგრძნობდით თქვენს თანადგომას, ბრძანა ილია II-მ. ჩვენი ქვეყნები ყოველთვის განიცდიდნენ მომხდური მტრის შემოსევებს, მაგრამ მართლმადიდებლებად დავრჩით. დღესაც რთული ...

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად

ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საშემოდგომო სესია მუშაობას შეუდგება 3 სექტემბერს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ გეგმაში არის 77 კანონპროექტის, მთელი რიგი სარატიფიკაციო დოკუმენტების, პრეზიდენტისაგან საკანონმდებლო ინიციატივით შემოსული ...



... სისხლის პლაზმის დამუშავების ქარხნის ამოქმედების და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესახებ.

ბიუჯეტი გასცემს ფულს

პარლამენტის კომიტეტებში დასასრულს უახლოვდება 1997 წლის საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების წინასწარი განხილვები.

27 აგვისტოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში იმსჯელეს ჯანმრთელობის დაცვისა და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროებისათვის მომავალი წლისთვის გამოყოფილ დაფინანსებაზე. ...

ვინ „ოფსხნის ბანკს"?

მეხუთე წლისთავი

23 აგვისტოს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა დარბაზობა, რომელიც მოაწყო უკრაინის ელჩმა საქართველოში ანატოლი კასიანენკომ ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მეხუთე წლისთავთან დაკავშირებით.

კოსმოსურ ორბიტაზე

უკანასკნელ საათს

გროზნოში ერთობლივი პატრული დადის

ურთიერთსასარგებლო პარტნიორობა

ბიჭვეთ

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ელოდება მკითხველების ზარს

3 სექტემბერს, 12-დან 14 საათამდე რედაქციაში ტელეფონით 93-20-34 შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს. იგი პასუხს გასცემს თქვენთვის საინტერესო შეკითხვებს.

შეკითხვები და წინადადებები შეგიძლიათ ფოსტითაც მოგვაწოდოთ (მ.კოსტავას 14).

განცხადება

ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის ქალაქ ვლადიკავკაზში გამართული შეხვედრის შედეგების შესახებ

წლის 27 აგვისტოს ქალაქ ვლადიკავკაზში გაიმართა ედუარდ შევარდნაძისა და ლუდვიგ ჩიბიროვის შეხვედრა. შეხვედრის დროს, რომელიც მიმდინარეობდა ურთიერთგაგების სულისკვეთებით, გაიმართა აზრთა დაინტერესებული გაზიარება ქართულ-ოსური ურთიერთობის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებული ფართო წრის პრობლემების თაობაზე.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს დასახული დადებითი ძვრები კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად შექმნილ პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა 1996 წლის 16 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი „მემორანდუმი უშიშროების უზრუნველყოფისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ".

მხარეები, რომლებიც მტკიცედ არიან დარწმუნებული იმაში, რომ საჭიროა აღმოიფხვრას კონფლიქტის შედეგები, მოეღოს ბოლო უკანასკნელი წლების მძიმე მემკვიდრეობას და აღდგეს მშვიდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, აპირებენ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მემორანდუმის დებულებათა პრაქტიკულ ხორცშესხმას.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს იმ შედარებით სიმშვიდეს, რომელიც დამყარდა რეგიონში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ 1992 წლის 24 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმებისა და შერეული სამშვიდობო ძალების შეყვანის შედეგად. აღინიშნა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში რეგიონში დაისახა კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღების ტენდენცია, შეიქმნა უშიშროების მეტ-ნაკლები პირობები, როგორც იქ მცხოვრები მოსახლეობის, ისე ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთათვის, რომლებსაც სურთ მშობლიურ კერებში დაბრუნება; უკეთესობისაკენ შეიცვალა ფსიქოლოგიური კლიმატი, მტრული განწყობილება და კონფრონტაცია სულ უფრო მეტად უთმობს ადგილს კონსტრუქციულობისა და შემრიგებლობის სულისკვეთებას. მხარეებმა განაცხადეს, რომ უაღრესად საჭიროა ასეთი ტენდენციების მხარდაჭერა და განვითარება.

ამ მიზნით მხარეები ამტკიცებენ ნაკისრ ვალდებულებებს იმის თაობაზე, რომ შეასრულებენ მემორანდუმის პირველ მუხლს მომავალ ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის, ან მისი გამოყენების მუქარის დაუშვებლობის შესახებ და მე-2 მუხლს — ეთნიკური ნიშნის მიხედვით ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის თაობაზე. მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ მემორანდუმში ასახულ მიღწეულ მორიგებათა შესაბამისად, განავითარონ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, შემოქმედი და მეცნიერი ინტელიგენციის, ჟურნალისტების კონტაქტები, ერთობლივად გამართონ „მრგვალი მაგიდები", რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ რუსეთისა და სხვა ქვეყნების, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ობიექტური ინფორმაციის გაზიარებისა და იმ საკითხების განხილვის მიზნით, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესოა, გამოიყენონ სახალხო დიპლომატიის სხვადასხვა ფორმები.

მხარეებმა დადებითი შეფასება მისცეს ერთობლივი სამეურნეო საქმიანობის არსებულ მაგალითებს და საჭიროდ ცნეს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მრავალი წლის დაპირისპირების შედეგად დარღვეული ეკონომიკური კავშირურთიერთობის აღდგენის გაღრმავება-გაფართოების პროცესს. ამასთან აღინიშნა, რომ სასურველია დამყარდეს უშუალო სამეურნეო კავშირურთიერთობა ცალკეულ საწარმოებს, მეურნეობებსა და ფირმებს შორის.

მხარეებმა დასახეს ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პროცესის შემდგომი განვითარების გზები, ამ კონტექსტით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის მოწესრიგების ურთიერთმისაღები სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ასპექტების შემუშავებას.

მხარეები შეთანხმდნენ შექმნან ამ მიზნით სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი დელეგაციები, რომლებიც უახლოეს მომავალში შეუდგებიან კონკრეტულ მუშაობას, იმოქმედებენ ხელმოწერილი მემორანდუმისა და მასში ჩამოყალიბებული სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის და ხალხების თვითგამორკვევის უფლებათა პრინციპების სულისკვეთებით.

აღინიშნა ის დადებითი როლი, რომელსაც ასრულებს კონფლიქტის წარმატებული მოწესრიგებისა და რეგიონის აღდგენის საქმეში რუსეთის ფედერაცია, აგრეთვე ამ პროცესში ჩრდილოეთ ოსეთ — ალანიის რესპუბლიკის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, სხვა საერთაშორისო, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობა.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს აგრეთვე კისლოვოდსკში 1996 წლის 3 ივნისს გამართული შეხვედრების ფუნდამენტურ მნიშვნელობას, რომელშიც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთა მეთაურები, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელები, და ამ შეხვედრაზე მიღებული „კავკასიაში ეროვნებათშორისი თანხმობის, მშვიდობის, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისათვის დეკლარაციის" მნიშვნელობას. აღინიშნა აგრეთვე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებას მთლიანად კავკასიაში მშვიდობისა და თანხმობის დამყარებისათვის.

მხარეებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს უშუალო კონტაქტების დამყარებას, და გამოთქვეს რწმენა, რომ მათ შორის გამართული შეხვედრა დადებით იმპულსს მისცემს მოლაპარაკების პროცესის შემდგომ მიმდინარეობას, ურთიერთნდობის განმტკიცებას. მხარეები შეთანხმდნენ გააღრმავონ ორმხრივი კონტაქტები და რეგულარულად გამართონ ასეთი შეხვედრები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ახსარბეკ გალაზოვი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ბორის პასტუხოვი, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის მისიის მეთაური საქართველოში დიტერ ბოდენი.

შეხვედრა

გადარჩენილი ტაძარი

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით, სამეგრელოს მხარეში იმყოფებოდა.

დელეგაციის სტუმრობას სამეგრელოში მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა არა მხოლოდ საკანონმდებლო კონკრეტიკის, კანონშემოქმედებითი მუშაობის სრულყოფის, არამედ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ერთ-ერთ შეხვედრაზე საგანგებოდ აღნიშნა, „სამეგრელო ყველაზე მეტად დაზარალდა საქართველოს სხვა მხარეებს შორის სამოქალაქო ომის გამო, ამ კუთხის მოსახლეობამ უდიდესი ტკივილი გადაიტანა, ამიტომ მას განსაკუთრებული სითბო და ყურადღება სჭირდება".

მხარე ნელ-ნელა იმუშებს ჭრილობებს, უპირველეს ყოვლისა, ეს, რა თქმა უნდა, მოსახლეობის განწყობაზე იტყობა. პარლამენტის თავმჯდომარეს და დეპუტატებს, ყველგან გულთბილად და სიხარულით შეხვდნენ, იყო საუბარი პრობლემებზეც და ამ საუბრებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სამეგრელო საქართველოს დღევანდელი დღით ცხოვრობს.

მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები წარმოიშვა სამეგრელოში ჩაის მონოკულტურასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად, გასათვალისწინებელია ყოფილი ბაზრის მასშტაბიც და „გეგმიური ეკონომიკის" მიერ საქართველოსათვის დაკისრებული ფუნქციის გრანდიოზულობაც — საქართველო ხომ მსოფლიოს ერთ მეექვსედს (უფრო მეტსაც) ამარაგებდა ჩაით, — საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჭკუათმყოფელ ადამიანს ენა ვერ უნდა მოუბრუნდეს პირში, რათა დამოუკიდებელი საქართველოს ხელმძღვანელებისაგან მოითხოვოს ამ გრანდიოზული წარმოების შენარჩუნება იმავე ან თუნდაც მიახლოებულ მასშტაბებში, — ეს უკვე შეუძლებელია. რუსეთისა და დსთ ბაზარი მაღალხარისხოვანმა ინდურმა ჩაიმ დაიპყრო (სხვათა შორის, თითქმის მილიარდიანი ინდოეთი იმდენივე ჩაის ჰკრეფდა, რამდენსაც ხუთმილიონიანი საქართველო), იწყება გააფთრებული კონკურენცია, უმოწყალო ჭიდილი ბაზრისათვის — ულმობელი რეალობა ჩაის მწარმოებელ კუთხეს დიდ გამოცდას უმზადებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ საერთოდ „დაიბანა ხელი" — სამეგრელოში ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ყველაფერი გრძელვადიან კრედიტზე არ დაიყვანება, უნდა შევეგუოთ აზრს, რომ „ჩამოსაწერად განწირულ კრედიტს" ანუ კრედიტს, რომელსაც არავინ დააბრუნებს — სახელმწიფო უკვე ვეღარ გასცემს. ამგვარი რამ დანაშაული იქნებოდა მომავალი თაობების წინაშე. სამაგიეროდ, პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა დაეხმაროს პერსპექტიულ საწარმოებს, — იმათ, ვინც წარმოადგენს რეალურ ბიზნეს-გეგმას და უეჭველად დაამტკიცებს, რომ ძალუძს წარმოების აღორძინება. მათ დასახმარებლად პარლამენტი მიიღებს სპეციალურ დადგენილებას ვალების გაყინვის ან სრული ჩამოწერის შესახებ, — ეს ფაქტობრივად იგივეა, რაც გრძელვადიანი კრედიტი, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განუმარტა მეჩაიეებს, რომ ამჟამად ხელისუფლებას სხვა საშუალება, სხვა შესაძლებლობა არ გააჩნია.

როგორც უნდა გვტკიოდეს, როგორც უნდა გვიკლავდეს გულს კახელ მეღვინეთა და მეგრელ მეჩაიეთა გაჭირვება, დამოუკიდებელ საქართველოს აღარ აქვს საშუალება გამოჰყოს მნიშვნელოვანი დოტაცია, ვინაიდან ეს უეჭველად გამოიწვევს ახლადშობილი ქართული საბაზრო ეკონომიკისათვის მომაკვდინებელ პროცესებს. განსაკუთრებით, — ფულად საკრედიტო სფეროში, ამავე დროს, პარლამენტი ყველაფერს იღონებს, რათა ხელი შეუწყოს საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვას. სამეგრელოში უკვე შემოვიდა მძლავრი გერმანული ფირმა, „მარტინ ბაუერი", — შედეგად, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს „სულის მოთქმის" საშუალება მიეცა, ამუშავდა რამდენიმე ქარხანა, დასაქმდა მუშა-ხელი. „მარტინ-ბაუერი" შედეგს ელის... სწავლობს, აანალიზებს, ამოწმებს, — თუ გაუმართლდა, იგი ჩაის წარმოებაში ათეულობით მილიონ დოლარს დააბანდებს.

სამეგრელოს მოსახლეობამ გულისტკივილით აცნობა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ გლეხობას თბილისის ბაზრებზე ვაჭრობის საშუალება არ აძლევენ, ქორვაჭრები შემოსასვლელშივე ხვდებიან და თითქმის ძალით ართმევენ საქონელს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მოინახულა ფოთის პორტი და სამრეწველო საწარმოები, არ შეიძლება არ გაიხარო, როდესაც სენაკში პარლამენტის წევრისა და უნიჭიერესი კაცის, ბატონ დემურ გადელიას საწარმოს დაათვალიერებ. საწარმო მრავალდარგოვანია, — იგი ამზადებს ბეტონის ფილებსა და სხვადასხვა კონსტრუქციებს, სამშენებლო მასალებს. ეს არის თანამედროვე, მაღალრენტაბელური, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საწარმო, რომელიც შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია კერძო ინიციატივას, პროფესიონალიზმსა და გარჯას. სამეგრელოში ნელ-ნელა დგებიან ფეხზე სხვა საწარმოებიც. აქტიურად მიმდინარეობს აქციონირების პროცესი — ეკონომიკის მინისტრის, ბატონ ლადო პაპავას თქმით სამეგრელო საქართველოს სხვა კუთხეებს შორის სამაგალითოა ეკონომიკური რეფორმების ტემპითა და სიღრმით. ეს უპირველეს ყოვლისა, მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის, ბონდო ჯიქიას დამსახურებაა, მისადმი რიდი და განსაკუთრებული პატივისცემა, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა.

სამეგრელოს (ისევე როგორც სრულიად საქართველოს) ყველაზე დიდი ტკივილი არის აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა. ბატონი ზურაბ ჟვანია თითქმის ყველა რაიონში შეხვდა ლტოლვილებს, მათ დეპუტატებს. მათდამი განსაკუთრებული ყურადღება გამომჟღავნა აგრეთვე ვახტანგ ყოლბაიამ, რომელიც ყოველდღე 5-6 საათის განმავლობაში ესაუბრებოდა გაუბედურებულ, გაწამებულ ადამიანებს. პარლამენტის თავმჯდომარე ლტოლვილებს ყოველმხრივ დახმარებასა და თანადგომას შეჰპირდა. მისი თქმით გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება 1996 წლის ბოლომდე უნდა დამთავრდეს, შემდეგ კი დაიწყება ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთის მთელს ტერიტორიაზეც.

ყველაზე მეტად, სამეგრელოში იმან გაგვახარა, რომ მოსახლეობას უიმედობა აღარ ეტყობა. ცხოვრება კალაპოტში დგება და ძალასაც იკრებს. სამეგრელოში დღესაქართველოზე ლოცულობენ, მის ძლიერებას, მის ერთიანობასა და მომავალ გამარჯვებას აღევლენებენ. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ პირველივე დღეს მოინახულა კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი. სამეგრელოში სტუმრობისას დავრწმუნდით, რომ დიდი კონსტანტინეს თქმისა არ იყოს „გადარჩა ტაძარი" — გადარჩა ღვთისა და ერის ნებით.

გია ლებანიძე.

სურათზე: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია სამეგრელოში.
საქინფორმის ფოტოქრონიკის ფოტო.

სიმართლე კი ასეთია

არძინბას ისევ „პრავდის" სჯერა

23 აგვისტოს გალში გაიმართა აფხაზეთის კონფლიქტის ორმხრივ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილე დელეგაციების პირველი გამსვლელი სხდომა, რომლის მიზანი იყო გალის რაიონში უკვე დაბრუნებულ ლტოლვილთა რაოდენობის დადგენა და ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნებისათვის რეალურად არსებული პირობების ადგილზე შესწავლა. გალის რეგიონში ყოფნის შთაბეჭდილებებს გვიზიარებს საქართველოს დელეგაციის წევრი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ავთანდილ იოსელიანი.

— გალის რაიონში დაბრუნებულ მოსახლეობას საკმაოდ მძიმე სოციალ-ეკონომიკურ პირობებში უწევს არსებობა. ადგილობრივი ხელისუფლებისაგან არანაირი დახმარება არ არის — არ რიგდება პენსია, ჰუმანური დახმარება, არ მუშაობს საწარმოები, ანუ არ არის სამუშაო და შესაბამისად — ხელფასი. ადგილობრივი ადმინისტრაციის განცხადების მიუხედავად, თითქოს სოფლებში პური მანქანებით შეაქვთ, მოსახლეობას ზუგდიდში უწევს ჩასვლა პურის ფქვილის შესაძენად.

კვლავ არ არსებობს უშიშროების გარანტია. ხალხი მუდმივ შიშში ცხოვრობს. რამდენიმე სოფელში ისიც მითხრეს, მანქანის ხმას რომ გავიგონებთ, ტყეში ვიმალებითო. მაგრამ აუტანელი პირობების მიუხედავად, ლტოლვილებს მაინც თავისი, თუნდაც დანგრეული, გადამწვარი და გაძარცვული სახლებისაკენ მიუწევთ გული, მაინც თავის მიწასთან ახლოს ყოფნა სურთ.

ჩემი აზრით, თუ ლტოლვილების უშიშროება გარანტირებული იქნება და საქართველოს ხელისუფლება სოციალურ და ეკონომიკურ დახმარებას გაუწევს დაბრუნებულ მოსახლეობას, შეიძლება დევნილთა აფხაზეთში მასობრივად დაბრუნების პროცესის დაწყება. თუმცა, მანამდე კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გაირკვეს. მაგალითად, როგორი ადმინისტრაცია იქნება გალში — ქართული, აფხაზური თუ შერეული, რასაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს. შეიძლება პიროვნულად პრეტენზია არ არსებობდეს გალის ახლანდელი ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ, მაგრამ, ჩემი აზრით, გალში შერეული ადმინისტრაცია უნდა ფუნქციონირებდეს, ან რაღაც სხვა ფორმაზეა მოსალაპარაკებელი. ასევე, გასარკვევია, სად ბრუნდება მოსახლეობა — გალის მთელ რეგიონში, თუ იმ 12-კილომეტრიან ზონაში, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალები აკონტროლებენ. ვფიქრობ, ზემოთ დასახელებული საკითხების მოგვარების შემდეგ, მოსახლეობა გალის მთელს ტერიტორიაზე უნდა დაბრუნდეს, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა კი სოფელ ოხურეიში გადაინაცვლონ.

— თქვენი მონაცემებით, რამდენი კაცი დაბრუნდა გალის რეგიონში?

— ზუსტი რიცხვის დასახელება ძნელია. აფხაზური მხარის განცხადებით, დაბრუნდა ლტოლვილთა 80 პროცენტი, რუსეთის დელეგაციის აზრით, დაახლოებით ნახევარი, ჩვენი მონაცემებით — მოსახლეობის ერთი მესამედი. მაგალითისათვის ასეთ ციფრებს დავასახელებ: სოფელ თაგილონში ომამდე 2 500 კაცი ცხოვრობდა. დაბრუნდა 1 200. მათგან მხოლოდ ნახევარი ცხოვრობს მუდმივად თაგილონში. ნახევარი ზუგდიდსა და თავის სახლს შორის, ასე ვთქვათ, მომთაბარეობს. 550 სახლიდან 138 დამწვარია. სოფელ ზემო ბარღებში უფრო მძიმე მდგომარეობაა-430 სახლიდან 217 დამწვარია. ომამდე იქ მაცხოვრებელი 2 400 კაციდან დღეს მუდმივად 600-700 ცხოვრობს. სოფელ პრიმორსკში, სადაც ომამდე 2200 კაცი ცხოვრობდა, მხოლოდ 251 მოსახლეა დარჩენილი...

— თქვენი აზრით, საჭიროა ოთხმხრივი დელეგაციების გალის რეგიონში გამსვლელი სხდომების ჩატარება?

— უფრო მეტიც — აუცილებელია. დაბრუნებულ მოსახლეობას იმედი უჩნდება, როცა აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელს ხედავს. ეს ჩვენი ტრაგედიაა, რომ აფხაზეთში საქართველოს ოფიციალურ პირთა გამოჩენა ქართული მოსახლეობის გაკვირვებასა და ცრემლნარევ სიხარულს იწვევს.

— თქვენ ხელმძღვანელობთ აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიას. რა შედეგებს მიაღწია კომისიამ, და კიდევ, რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „პრავდისათვის" მიცემულ ინტერვიუში აფხაზთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ თქვენი ერთ-ერთი ბოლო ინტერვიუს კომენტირებისას განაცხადა, რომ „იოსელიანმა აფხაზეთისაკენ გზა მოიჭრა". ხომ არ შეუშლის ხელს ეს განცხადება კომისიის მუშაობას?

— თავდაპირველად რამდენიმე სიტყვით აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგებზე. 23 აგვისტომდე ერთი კვირით ადრე ჩვენი და საქართველოს საპარლამენტო კომიტეტის წევრები გალში შევხვდით აფხაზურ მხარეს. შეხვედრა შედეგიანი იყო. საკითხთა უმრავლესობაში აფხაზებმა სრული გაგება გამოგვიცხადეს. ასე რომ, ამ მეტად მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად ბევრი რამ უკვე გაკეთდა და ბევრიც უახლოეს ხანში გაკეთდება.

ახლა, რაც შეეხება ვლადისლავ არძინბას ინტერვიუს. როგორც ჩანს, ბატონი არძინბა ვერ ელევა რუსი კომუნისტების გაზეთს „პრავდას" და აფხაზი სეპარატისტების მიერ ანგაჟირებულ ჟურნალისტს იგორ ლენსკის. არძინბას თქმით, თურმე მასთან შეხვედრის გამო სიხარულს ვერ ვმალავდი. არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ — აფხაზეთში ყველაფერს არძინბა წყვეტს. მათ შორის, დაღუპულ ქართველ მეომართა ცხედრების გადმოსვენების საკითხსაც. სწორედ ამ საკითხის მოსაგვარებლად შევხვდი გაგრაში არძინბას და, მართლი გითხრათ, ამ შეხვედრას ჩემთვის რაიმე განსაკუთრებული სიამოვნება ნამდვილად არ მოუნიჭებია.

გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში ვლადისლავ არძინბამ კიდევ რამდენიმე ბრალდება წამომიყენა — თითქოს ჩვენი კონფიდენციალური საუბრის შინაარსი მსოფლიოს მოვდე. იცით, ჩვენი კონფიდენციალური საუბრიდან რაიმე მართლაც რომ გამემჟღავნებინა, მეეჭვება, თუნდაც გაზეთ „პრავდას" დარჩენოდა სურვილი, ინტერვიუ ჩამოერთვა ბატონ ვლადისლავისათვის, ისე მოიხსენია მან ზოგიერთი ჩვენი მეზობელი ქვეყნის ესა თუ ის წარმომადგენელი.

არ დავმალავ, არძინბასთან გაგრაში საუბრის შემდეგ ისეთი გრძნობა დამრჩა, რომ ომმა იგი შეცვალა, რომ გააცნობიერა, რა საშინელებაც მოაქვს სისხლისღვრას ადამიანებისათვის და რომ მზად არის, არსებული პრობლემები ნორმალური, მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარდეს. ალბათ, შევცდი, მაგრამ მაინც ვიტოვებ იმედს, რომ ვლადისლავ არძინბას თავისი „დიდი პატრონის" შიში ალაპარაკებს. და კიდევ ერთი: დიდი ხანია, რაც ვლადისლავ არძინბას ვიცნობ. გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილი სიტყვები და ფრაზები მისი მეტყველებისათვის არ არის დამახასიათებელი და უფრო ლენსკის „რეპერტუარიდანაა". როცა არძინბას შევხვდები (და მე მას აუცილებლად შევხვდები), მგონია, ვარაუდს დამიდასტურებს. პირობას ვდებ, ამ „საიდუმლოს" აუცილებლად შევუნახავ.

— ბატონო ავთანდილ, თქვენ იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნით, ვინც თვლის, რომ ყველაფრის მიუხედავად, აფხაზურ მხარესთან კონტაქტი აუცილებელია. თქვენივე განცხადებით აფხაზეთში ყველაფერს არძინბა წყვეტს...

— გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული ინტერვიუს მიუხედავად, მზად ვარ, ვლადისლავ არძინბას კვლავ შევხვდე. თუ მას არ ექნება სურვილი, სხვას შევხვდები. სოხუმში არსებობენ ძალები, ვინც მიიჩნევს, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთად მშვიდობიანად უნდა იცხოვრონ.

სხვათა შორის, ვლადისლავ არძინბას მიერ გაკრიტიკებული ჩემი ინტერვიუს გაზეთ „Независимая газета"-ში გადაბეჭდვის მეორე დღეს სოხუმიდან და მოსკოვიდან აფხაზებიც მირეკავდნენ და ქართველებიც. ისინი კმაყოფილებას ვერ მალავენ, რომ თურმე არძინბასთან მოლაპარაკება, აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება შესაძლებელია.

ჩემს ინტერვიუს აფხაზეთში ერთგვაროვანი რეაქცია არ გამოუწვევია. მაგალითად, თუ სოხუმის მოსახლეობა ინტერვიუს ქსეროასლებსაც კი ავრცელებდა, რადიკალების რეაქცია ძალიან მძაფრი იყო. არც მიკვირს — ეს ის ხალხია, ვისაც ხელები სისხლით აქვს დასვრილი, ვინც იცის, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ ერთადერთი გზა რჩებათ — ციხისკენ და, რაღა თქმა უნდა, ძალიან გაღიზიანდნენ რუსეთის რეაქციული ძალები, ვინც ვლადისლავ არძინბას თავის დროზე ომისკენ უბიძგა. ისინი შეშფოთდნენ, რომ შესაძლოა ქართველებმა და აფხაზებმა მათ გარეშე გამონახონ საერთო ენა.

ესაუბრა
თენგიზ პაჭკორია.

ჩვენი დედაქალაქი ამ დღეებში სასიამოვნო ცნობამ გაახალისა. 19 აგვისტოდან მეტროპოლიტენმა მუშაობა ერთი საათით გაახანგრძლივა, ამიერიდან ცისფერი ექსპრესები მიწისქვეშეთში დილის 6 საათიდან ღამის 24 საათამდე იქროლებენ. ეს თითქმის ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი, ზოგისთვის რომ არაფერს ნიშნავს, ბევრისთვის მრავლისმთქმელია — ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგება, სტაბილიზაცია მტკიცდება და ჩვენს ირგვლივ სიმშვიდე, კეთილდღეობა ისადგურებს

— მართალი ბრძანდებით, — მითხრა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა გურამ გაბუნიამ, — როცა ეს აზრი გავუზიარე. მორჩა ის დრო, როცა თბილისელები შებინდებისთანავე შინ გარბოდნენ. ახლა ქალაქის ქუჩები გვიანობამდე სავსეა ხალხით, მგზავრებით, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ (ამ პერიოდისათვის კანტიკუნტად მსუბუქი ტაქსებიღა მოძრაობენ). ამის თაობაზე გვირეკავდნენ, გვწერდნენ, მუშაობის გახანგრძლივებას გვთხოვდნენ. ჰოდა, აი ჩვენი სიძნელეები და გაჭირვება გვერდზე გადავდეთ და ხალხის თხოვნა დავაკმაყოფილეთ.

— ამან დამატებითი სიძნელეები შეგიქმნათ?

— რა თქმა უნდა, პრობლემებიც მოგვემატა და ხარჯებიც გაგვეზარდა. ჩვენთან ხომ მოძრაობის შეწყვეტის შემდეგაც მთელი ღამე გრძელდება მუშაობა, ისინჯება გვირაბები, ძირითადი კვანძები, სხვა ობიექტები, რათა მეორე დილას მოძრაობა უსაფრთხო იყოს. ჰოდა, ახლა ყველაფერი ეს ერთი საათით ადრე უნდა შესრულდეს, თანაც ისე, რომ საქმეს პასუხისმგებლობა და გულისყური არ მოაკლდეს და რაიმე ხიფათს არ გადავაწყდეთ.

— რას იზამთ, ეტყობა ამ საერთო გაჭირვების ჟამს თქვენც უნდა გაიჭირვოთ!

— ახლა ასე ბევრი გვეუბნება, რასაც, სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმები. არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე დავაყენოთ მეტროპოლიტენი და, ვთქვათ, სამრეწველო საწარმო, რომელიც თავისი სიმძლავრეებისა და შესაძლებლობების მხოლოდ 30 პროცენტს იყენებს. ჩვენ ყოველ საათს და ყოველ წამს მაქსიმალური დატვირთვითა და პასუხისმგებლობით უნდა ვიმუშაოთ, რათა უზრუნველვყოთ მეტროს ნორმალური მუშაობა და მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა. ეს ჩვენთვის საკითხთა საკითხია და საერთო გაჭირვების ფონი არავითარ შეღავათს არ გვაძლევს.

— ბატონო გურამ, გამართული მუშაობა, რასაც თქვენ ასე დაბეჯითებით მოითხოვთ, „გამართულ" ფინანსებს საჭიროებს. გაქვთ კი საამისო თანხები, რომ მეტროში ამ უაღრესად სპეციფიკურ და სათუთ სამსახურში, ყველაფერი საათივით აწყობილად მუშაობდეს?

— საქმეც ეგ არის, რომ არა გვაქვს. არადა, უამრავი სათადარიგო ნაწილი, დეტალი, მოწყობილობა გვაქვს საყიდელი თუ შესაკეთებელი, რასაც ასევე უამრავი თანხა სჭირდება.

— წლეულს, 1 აპრილიდან, მეტროთი მგზავრობის ფასი გაორმაგდა, ნუთუ ამან თქვენს ფინანსურ სიძნელეებს გვერდით ჩაუარა?

— სწორედაც რომ „გვერდით ჩაუარა". თუ რატომ, ახლავე აგიხსნით.

მართალია, აპრილიდან მგზავრობის ტარიფი გაიზარდა (10 თეთრი გახდა), მაგრამ ეს თანხა საკმაოდ მცირეა და ბევრად ჩამორჩება თანამეგობრობის ქვეყნების ქალაქებში დაწესებულ ტარიფებს, დასავლეთის ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ. ტარიფის შეცვლას მოჰყვა დოტაციის შეწყვეტა, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება (უდოტაციოდ მომუშავე მეტროს დღეს ვერსად ნახავთ). მეტროპოლიტენის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებლად ჩვენს მიერ განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები რომ არა (ეს ნაწილობრივ მოგვეხმარა), ალბათ, თვითდაფინანსებაზე გადასვლას ვერ შევძლებდით.

რადგან უსუსდიდებოდ, უდოტაციოდ ვმუშაობთ, იძულებული ვართ მეტროპოლიტენში აუცილებელი სამუშაოები შევასრულოთ არა დადგენილი წესით, არამედ შესაძლებლობის გათვალისწინებით და მგზავრობის თვითღირებულებაც ხელოვნურად შემცირებული სამუშაოების შესაბამისად ვიანგარიშოთ. ამ პრინციპით დღეს ერთი მგზავრის გადაყვანა 11,3-11,4 თეთრი გვიჯდება, როცა ნორმალურ პირობებში 21 თეთრს უნდა აღემატებოდეს.

ასეთმა მომჭირნეობამ უფრო სწორად — გეგმიური სამუშაოების შეუსრულებლობამ ამას წინათ სანკტ-პეტერბურგში მეტროპოლიტენის 9-სადგურიანი ხაზი გამოიყვანა მწყობრიდან. ამან კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ეკონომია არ უნდა გავწიოთ იქ, სადაც ამის გაკეთება არ შეიძლება.

— გამოდის, რომ შემცირებული სამუშაოების კვალობაზე ნაანგარიშევ მგზავრობის საფასურსაც ვერ იღებთ. მგზავრი 10 თეთრს იხდის. სინამდვილეში კი მგზავრობა 11 თეთრზე მეტი ჯდება. ამ დანაკლისს ვინმე გინაზღაურებთ?

— არავინ. თუმცა, მარტო ეგ რომ იყოს, რა გვიჭირდა, ფაქტობრივად ხომ გაცილებით მეტს ვზარალობთ.

— როგორ?

— როგორც ცნობილია, ლტოლვილები, ომის მონაწილენი, პერსონალური პენსიონერები, ბავშვობიდან ინვალიდები მეტროში უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობენ. უფრო სწორად, ჩვენ ვაძლევთ მათ წლიურ ბილეთებს, რომელთა საფასურს შესაბამისი სამინისტროები და უწყებები 30 პროცენტის ფასდაკლებით გვინაზღაურებენ. მაგრამ გვინაზღაურებენ კი? არის ერთი რეკვა, ხვეწნა-მუდარა, რათა დროულად ჩაგვირიცხონ თანხები, მაგრამ ვინ გვისმენს.

ამას კიდევ გავუძლებდით, სხვა უფრო დიდი ზარალი რომ არ მოგვდიოდეს. აპრილიდან მგავზრობის საფასურის გაორმაგებასთან ერთად, რა თქმა უნდა, შეღავათიანი მგზავრებისგან (ზემოთ დასახელებული კატეგორიები) მიღებული შემოსავლებიც უნდა გაორმაგებულიყო. ამის შესახებ ტარიფების გაზრდამდე ორი თვით ადრე წერილობით ვაცნობეთ შესაბამის უწყებებს, მაგრამ ყური არავის გაუბარტყუნებია. მათ წაღებული აქვთ მთელი წლის ბილეთები, დამატებული თანხის გადახდა კი არ უნდათ. რა გამოდის? ის, რომ შეღავათიანი მგზავრები 4 თეთრზე ნაკლებად გადაგვყავს.

— რატომ?

— ფინანსთა სამინისტრომ ჩაგვირიცხოს ეს თანხები და გადავიხდითო. თავის მხრივ ფინანსთა სამინისტრო ჯიუტობს — თუ მთავრობამ და პარლამენტმა ნება არ დაგვრთო, ბიუჯეტიდან დამატებით ერთ თეთრსაც ვერ გავცემთო.

— ისინი თანხებს ზოგავენ, თქვენ კი ზარალობთ?

— ვზარალობთ რომელია, ყოველწლიურად 205 ათასი ლარი აკლდება ჩვენს ისედაც მწირ ბიუჯეტს. ეს თანხა არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი თვის საერთო ხარჯების 20 პროცენტს შეადგენს. თუ აპრილიდან ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ დღემდე მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი დავკარგეთ.

— და ამ დროს „საქენერგოდან", გედავებიან, გადაიხადეთ ელექტროენერგიის დავალიანება, თორემ გამოგირთავთო.

— აი ასეთ ჯადოსნურ წრეში ვტრიალებთ — ჩვენი სხვებს, ჩვენ კი სხვებისა გვმართებს. მოვალეებს რომ არ დავლალატებინეთ, დღეს ელექტროენერგიის საფასურიც გადახდილი გვექნებოდა და წელში გასამართი თანხაც დაგვრჩებოდა.

ისე, ენერგეტიკოსები მთლად მართლები არ არიან, როცა გამორთვით გვემუქრებიან. ვიანგარიშოთ, შარშან და წლეულს შვიდ თვეში მეტროპოლიტენმა სულ 2 900 ათასი ლარის ელექტროენერგია დახარჯა, აქედან 2361 ათასი ლარი, ანუ 81 პროცენტი უკვე გადახდილი გვაქვს. ისინი ზზირად აცხადებენ, მოვალეებმა დანახარჯის 70 პროცენტიც რომ გადაგვიხადონ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო, ჩვენთან ურთიერთობაში კი რატომღაც მომეტებულ სიმკაცრეს იჩენენ. ზოგს ავიწყდება, რომ მეტრო არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ საკუთარი სამეურნეო ცხოვრებით ცხოვრობს, მისი ინტერესები გადაჯაჭვულია დედაქალაქის მთელი მოსახლეობის ინტერესებთან (მგზავრთა 75-90 პროცენტი მეტროს გადაჰყავს) და ამას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ბატონმა გურამ გაბუნიამ, როგორც ჩანს, თავი შეიკავა და ინტერვიუში ყველა „საიდუმლო" არ გამანდო. მასთან საუბრის შემდეგ ბევრი რამ გავიგე და დავადგინე. აი, თუნდაც ასეთი ფაქტები: შარშან ელექტროენერგიის გამორთვების გამო მეტრო 114-ჯერ (209 საათით) გაჩერდა, რამაც მას 800 ათასი ლარის ზარალი (მგზავრთა არგადაყვანა და მოწყობილობების დაზიანება) მიაყენა. წლეულს აგვისტომდე ჯერჯერობით გაჩერების რიცხვი 35-მდე, ხოლო ზარალი — 130 ათას ლარამდე შემცირდა.

არავინ არის დაზღვეული, რომ ასეთი, მატერიალურად და ზნეობრივად დამანგრეველი გამორთვები (ბევრი მგზავრი ისე დაშინდა, რომ მეტროსკენ აღარც იყურება), აღარ განმეორდება. ეს იცის მეტროპოლიტენის თავკაცმაც და ზამთრისგან (თუ „საქენერგოსგან") შეშინებულს საუბრის დროს თვალი უნებურად დენის სიხშირის მზომ ხელსაწყოსაკენ გაურბის. მადლობა ღმერთს, ახლა, ზაფხულში მაინც ენერგია კონდიციურია (ტაბლო 50 ჰერცს აჩვენებს), და კიდევ ათასი მადლობა ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებს, რომლებმაც დაბალ სიხშირეზე მატარებელთა მოძრაობის გარანტი (სტაბილიზატორი) შექმნეს, თორემ მეტრო ზამთრობით, ალბათ, საერთოდ გაჩერდებოდა.

როგორ ფიქრობთ, რისთვის დამჭირდა ეს ციფრები და მაგალითები? მხოლოდ ერთის სათქმელად: როცა ენერგეტიკოსები მეტროსგან დახარჯული ელექტროენერგიის დროულად და სრულ გადახდას მოითხოვენ, კეთილი ინებონ და პარტნიორის გამართული მუშაობისათვის პასუხისმგებლობა თვითონაც იკისრონ. თუ ამას ვერ შეძლებენ, მაშინ იმის თავი მაინც უნდა ჰქონდეთ, რომ მათი მიზეზით მიყენებული ზარალი აუნაზღაურონ.

არადა, მეტროში იმდენი რამ არის საკეთებელი და მოსაწესრიგებელი, კაცს ჩამოთვლა გაუჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გვირაბებში 10 კილომეტრამდე რელსი სასწრაფოდ შესაცვლელია, 57 ესკალატორიდან 21 კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. ახლა პროფილაქტიკური სამუშაოები, შესაკეთებელი ნაგებობები და მოწყობილობები? გადასაწყვეტია უამრავი საკითხი, რომლებიც მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგებას შეეხება.

არავინ იფიქროს, რომ თბილისის მეტროპოლიტენის მესვეურები გულხელდაკრეფილი სხედან და მომარაგებას კვლავ „ცენტრიდან" ელოდებიან. არა, კარგახანია მათ „მომარაგების ბაზები" საკუთარ ტერიტორიაზე გადმოიტანეს თბილისი, ქუთაისის, რუსთავის და სხვა ქალაქების საწარმოებში — დაახლოებით 70 დასახელების სათადარიგო ნაწილი და კვანძი მზადდება. უფრო მეტიც, დიდი მცდელობისა და წვალების ფასად, აქვე, საკუთარ დეპოში, ახალი საწარმოო ფართობის გამოუყენებლად, დაიწყეს ძრავების, გოგორწყვილებისა და თვით მოძრავი შემადგენლობის კაპიტალური შეკეთება, რაც ხარჯებს ერთისამად შეამცირებს. ამავე დროს ამოქმედდება რუსეთის ერთ-ერთ ფირმასთან შექმნილი ერთობლივი საწარმო, რომელიც ჩვენთან ერთად აზერბაიჯანისა და სომხეთის მეტროპოლიტენების სავაგონო პარკს მოემსახურება.

თუმცა, ეს სულაც არ იძლევა ურთიერთანგარიშსწორების მოშლის უფლებას, იმას, რომ მეტრომ თანხები ხარჯოს და ვეღარ აინაზღაუროს, მოქალაქეთა ერთმა ნაწილმა (ლტოლვილები, ომის მონაწილენი, პერსონალური პენსიონერები, ბავშვობიდან ინვალიდები) ნახევარფასად, ხოლო მეორე ნაწილმა (თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების კონტროლის პალატის, მუშაკებმა) — სულაც უფასოდ იმგზავრონ. მოქალაქეთა პირველ კატეგორიაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, მათ პარლამენტმა და მთავრობამ მართალია წინა წლებში მიანიჭეს უფასოდ მგზავრობის უფლება, მაგრამ ანაზღაურების წესი დღემდე არავის დაუდგენია.

ჰოდა, ისინიც მგზავრობენ უფასოდ. რატომ? ვითომ იმიტომ, რომ ამ უწყებების მუშაკები სხვებზე ნაკლებანაზღაურებადი ან სოციალურად დაუცველები არიან? არა მგონია! და თუ მაინცდამაინც მათი უფასო მგზავრობა აუცილებელია (ამერიკაში, თურმე, პრეზიდენტსაც არა აქვს მეტროთი უფასოდ მგზავრობის უფლება), ეს უნდა მოხდეს მათივე უწყებების ხარჯით და არა მეტროპოლიტენის საზიანოდ. ამის გაკეთება მით უფრო საშურია, რომ ახლო მომავალში, მეტროში დაინერგება მგზავრობის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც მთლიანად გამორიცხავს მოქალაქეთა (რომელ კატეგორიასაც უნდა ეკუთვნოდეს) უბილეთო გადაყვანას. ესეც არ იყოს, თუ საბაზრო ეკონომიკას ვაშენებთ, კეთილი ინებოს და მისი პრინციპი ყველამ შეასრულოს.

ერთი სიტყვით, უფასო მგზავრობის ინსტიტუტი მოძველებულია და, გვსურს თუ არა გვსურს, უნდა გაუქმდეს. იმგზავრე? გადაიხადე კიდეც. მორჩა და გათავდა.

როგორც ბატონ გურამ გაბუნიასთან შეხვედრისას გაირკვა, ეს პრობლემები მეტროპოლიტენისთვის ახალი არ არის. ამის თაობაზე უკვე ყოფილა საუბარი პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან, სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან, ხოლო ქალაქის მერი ბადრი შოშიტაიშვილი თურმე საკითხს მთავრობის სხდომაზე განსახილველად ამზადებს.

ვიყოთ რეალური და კატეგორიულნი. დღეს თბილისის მეტრო უკანასკნელი ამოსუნთქვის, როგორც იტყვიან, ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. ეს ის ეტაპია, როცა ცოცხალი ორგანიზმი ჟანგბადის ბალიშს, ხოლო საწარმო-ორგანიზაცია — დამატებით სახსრებს მოითხოვს.

მეტროპოლიტენმა ან მისი არსებობისათვის აუცილებელი თანხები უნდა მიიღოს ან მუშაობა შეწყვიტოს.

ოთარ ხუციშვილი.



მეტროპოლიტენი

უკანასკნელი ამოსუნთქვა

ნომრის გამოსვლის წინ რედაქციისათვის ცნობილი გახდა, რომ მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსს გურამ გაბუნიას 60 წელი შეუსრულდა. გისურვებთ, ბატონო გურამ, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელ ცხოვრებას და ამ წერილში დასმული პრობლემების უახლოეს პერიოდში გადაწყვეტას.

ალ 29 აგვისტოა — იმ შავი სამშაბათის წლისთავი, რომლის ყოველი გახსენებაც ში- ა და ძრწოლით გვავსებს, რომელმაც ბეწვზე დაკიდა ქვეყნის ბედი. ლიწადი გავიდა და ის ავბედითი დღე კვლავაც განსჯისა და მითქმა-მოთქმის მთავარი ა: რა მოხდა, როგორ მოხდა... მით უფრო, რომ ჯერაც არ შემდგარა სასამართლო, ელიც ყველა კითხვაზე გვიპასუხებს. მოძიება უკვე დამთავრდა, ამ სისხლის სამართლის საქმის გამო დაპატიმრებულთ წა- ებული აქვთ ბრალდებები: სამშობლოს ღალატი, ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა... 995 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ მოწყობილი რორისტული" აქტის საქმის გამოძიებას პირველივე დღიდან ხელმძღვანელობს რესპუბ- ის გენერალური პროკურორის მოადგილე რევაზ ყიფიანი. ატონი რევაზი პროფესიულ კეთილსინდისიერებასა და შეუვალ პრინციპულობასთან ერთად, თაც არის ცნობილი, რომ არ უფრთხის ჟურნალისტებს. ოღონდ ერთი კია: რა გინდ გუ- თადი საუბარი გაუმართო, როგორც უნდა შემოუარო, ისეთს ვერაფერს დააცდენინებ, ს თქმაც თვითონ არ სურს, უფრო სწორედ, საჭიროდ არ მიიჩნევს. ერც მე დავაცდენინე რაიმე „სენსაციური", მაგრამ რაც თქვა, ვფიქრობ, საინტერესოა თხველისთვის. უმცა თავად შეაფასეთ.

გამოძიება ბრალს სდებს

აფეთქება, რომლის ხმაც მსოფლიოს გადასწვდა

ერთი სისხლის სამართლის საქმის ანატომია

17. „ბრალდებულთა ბრალეულობა უტყუარად არის დადასტურებული"

— ბატონო რევაზ, ჯაბა იოსელიანის, ა გელაშვილის, თემურ ხაჩიშ- ლისა და სხვათა სისხლის სამა- ლის საქმის გამოძიება რამდენიმე დამთავრდა, მაგრამ საბრა- ებო დასკვნა ჯერ დაწერილი არის. რატომ ყოვნდება მისი წერა, როდის გადაეცემა საქმე სამართლოს?

— ჯაბა იოსელიანის, გიორგი გელაშვი- , თეიმურაზ ხაჩიშვილისა და სხვათა ლდების სისხლის სამართლის საქმე- წინასწარი გამოძიების დამთავრება 1996 ს 10 მაისს გამოცხადდა. 0-დან 15 მაისამდე საქმის მასალებს ეცნენ დაზარალებულები. დღემდე მას ობიან ბრალდებულები და მათი ინტერესების და- ელი ადვოკატები. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ, თუ ბრალდე- ლები და ადვოკატები წარმოგვიდგენენ შუამდგომ- ობებს, მათ განვიხილავთ, მივცემთ შესაბამის შეფა- ს: უარს ვეტყვით ან დავაკმაყოფილებთ მთლია- თუ ნაწილობრივ. ამ პროცესუალური მოქმედე- ს შემდეგ შედგება საბრალდებო დასკვნა და სა- ქვემდებარეობით განსახილველად წარიმართება სა- თველოს უზენაეს სასამართლოში.

— მიგაჩნიათ, რომ გამოძიებამ ყველა მტ- იცება მოიპოვა, ასე ვთქვათ, მთლიანად ამო- ურა თავისი შესაძლებლობები? ყოველდღი- რად ხომ ახალ-ახალი ფაქტი ამოტივტივ- ება ხოლმე. მაგალითად, გაზეთები წერენ 96 წ. 11 ივლისს ვენაში მოკლულ დავით სა- ნიძის კავშირზე „მხედრიონსა" და მის ლი- ერებთან, აყენებენ ვერსიას, სოლიკო ხაბე- შვილის მკვლელობის ერთ-ერთი მოტივი მა- ის მიერ „გუდაურის" კომპლექსის ხელში ღების სურვილი იყოო. „მეტეხ პალასი" ფიოზების ბუდეს წარმომადგენდაო და ა.შ. ძიება გვერდს აუვლის ამ ვერსიებს? სევე: ახლახან დააკავეს თემურ ქურდია- , სამივე ტერორისტული აქტის მონაწილე ველ შემთხვევაში, გამოძიება ასე მიიჩნევს). ი დაკითხვები ხომ არ გააჭიანურებს სა- ის სასამართლოსთვის გადაცემას? ცნობილია, რომ ამ სისხლის სამართლის სა- ზე დაპატიმრებულია 14 კაცი. საქმესთან ავშირებული ბევრი ადამიანი მიმალულია. თი შესაძლო დაპატიმრებისას საქმე ცალკე მოიყოფა, თუ მთავართან ერთად წარიმა- თება?

— გამოძიებამ მოიპოვა და შეაფასა ბრალდებულთა ალეულობის დამადასტურებელი ყველა შესაძლო მტ- ცებულება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თქვენს მი- მითითებული ფაქტების და მოსაზრებების (მათ შორის ანიკიძის და სხვათა მიმართ) შემოწმებას გვერდს ვლით — ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი სისხლის ართლის საქმე, რომლის გამოძიების პროცესში და- ინდება მათი რეალობა და მხილებულ პირთა მონა- ლეობა მათ ჩადენაში. ანალოგიურად გადაწყდება თ. ქურდიანის საკითხი. მიმართ გამოყოფილი სისხლის სამართლის საქმე. ლა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმე- ბის ჩატარების შემდეგ (რასაც, რა თქმა უნდა, გა- ვეული დრო დასჭირდება), განსახილველად გადაე- ვენება სასამართლოს, რომელიც თავისი შეხედულების ედვით გადაწყვეტს „ძირითად" სისხლის სამართლის ქმესთან მისი გაერთიანების საკითხს. ასე რომ, ეს გამოიწვევს საქმის სასამართლოსათვის გადაცემის გაჭიანურებას.

— რამდენადაც ვიცი, ჯაბა იოსელიანი არ აღიარებს დანაშაულს, რომელსაც მას გამოძიება უყენებს. მას არც რაიმე ჩვენება მიუცია და უშუალოდ არც არავინ ადებს ხელს. მაშ რითი, როგორ უმტკიცებთ მას დანაშაულს?

— ჯ. იოსელიანის ბრალეულობა მისთვის წარდგენილ ბრალდებებში დადასტურებულია წინასწარი გამოძიების მიერ. მას გამოძიებისათვის ჩვენებები მიცემული აქვს; თუმცა შეიძლება არა ყველა საკითხზე. მის მიმართ გამოძიებას მოპოვებული აქვს ჩადენილი დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებანი, რაც საკმარისია მისი ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის და რომელთა განხილვისაგან, საბრალდებო დაკვნის შედგენამდე თავს ვიკავებ.

მინდა განვმარტო, რომ ჩვენების მიუცემლობით არ წყდება პირის ბრალეულობის საკითხი. პრაქტიკაში გვქონია სისხლის სამართლის საქმეები, როცა არც წინასწარი გამოძიების სტადიაზე და არც სასამართლოში ბრალდებულს ჩვენება არ მიუცია, მაგრამ შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს დაუდგენია გამამტყუნებელი განაჩენი. მაგალითად, 1968 წელს, მკვლელ ბეკოევის მიმართ (რომელმაც სანადირო თოფით წამი კაცი მოკლა) საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისი განაჩენი ისე დაადგინა, რომ ბეკოევს ჩვენება არ მიუცია არც წინასწარი გამოძიებისთვის და არც სასამართლოში.

— თემურ ხაჩიშვილმა ხელი არ მოაწერა წარდგენილ დადგენილებას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და განაცხადა, თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ, მონაწილეობა არ მიმიღია არც ერთ ამ დანაშაულშიო. მიგაჩნიათ, რომ მისთვის წაყენებული ბრალდებები უტყუარია?

— არა მარტო თვით თ. ხაჩიშვილის აღიარებითი ჩვენებებიდან, რომლებიც მან საბოლოო ბრალდების წარდგენამდე მისცა გამოძიებას, არამედ სხვა შეკრებილი მტკიცებულებებიდან გამომდინარეც, მისი ბრალეულობა უტყუარადაა დადასტურებული. ამ კითხვაზე ფაქტობრივად უკვე გიპასუხეთ, როცა ვახსენე ბეკოევის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე.

— ზოგიერთი ეჭვს გამოთქვამს, ნუთუ მართლა ჯაბა იოსელიანმა, იგორ გიორგაძემ, თემურ ხაჩიშვილმა, გიგა გელაშვილმა მოაწყვეს სახელმწიფოს მეთაურზე თავდასხმა, ეს ხალხი ხომ თითქოს მხარში ედგა მასო?...

— ეს ეჭვი ჩვენც გვქონდა გამოძიების დამთავრებამდე, სანამ უკანასკნელ ბრალდებას წარვუდგენდით მათ. მას შემდეგ კი, რაც ჯაბა იოსელიანსა და სხვებს ბრალდება წარვუდგინეთ და გამოვიტანეთ დადგენილება მათი პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მე ამ ბრალდებათა წარდგენის სამართლიანობაში ეჭვი სრულიად არ მეპარება. რაც შეეხება „მხარში დგომას", ეს გამოძიების საკვლევი არ არის.

— ამბობენ, გიგა გელაშვილმა, რომელიც ძიების დროს არ უარყოფდა დანაშაულს, ახლახან მეორედ სცადა თავის მოკვლა, მუცელი გადაიჭრაო. განსაკუთრებით, სამშობლოს ღალატის ბრალდებას არ ეთანხმებაო. ეს ბრალდება სხვებსაც აქვთ წაყენებული. უმტკიცდებათ მათ ეს დანაშაული?

— გიორგი გელაშვილის მიერ თავის მოკვლის მცდელობებს რეალურად ადგილი არა ჰქონია. რაც შეეხება მის და სხვათა მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, კერძოდ — სამშობლოს ღალატს, რაც გამოიხატა შეთქმულების მოწყობაში სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, სავსებითაა დადასტურებული იმისდა მიუხედავად, თვით ბრალდებული ეთანხმება თუ არა ამას.

— გამიგონია: რუსეთის მხარე იგორ გიორგაძეს იმ მოტივით არ იძლევა, თითქოს ბრალდება მის მიმართ არადამაჯერებელია. თუ მათთვის არ არის დამაჯერებელი, ასევე შეიძლება არადამაჯერებელი იყოს სასამართლოსათვისაც...

— საქართველოსა და რუსეთს შორის მოქმედი ხელშეკრულებები სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ, არ ითვალისწინებს მხარეების მიერ ბრალდებულის დაკავებისა და გადაცემისას მისთვის წარდგენილი ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენასა და შეფასებას, მიუხედავად ამისა, ჩვენ რუსეთის მხარეს წარვუდგინეთ ი. გიორგაძისა და სხვათა ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

რუსეთის მხარე აცხადებს, რომ გიორგაძის ადგილსამყოფელი მათთვის დაუდგენელია, რის გამოც ვერ ხერხდება მისი დაკავება და გადმოცემა.

გიორგაძის ბრალეულობა მისთვის ინკრიმინირებულ ქმედებათა ჩადენაში იმდენადაა დადასტურებული, რომ დარწმუნებული ვარ, სასამართლო, აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შემდეგ, ეჭვს არ შეიტანს მათ დამაჯერებლობაში.

— საყვედურობენ, პრესაშიც ითქვა, რატომ გაუშვეს იგორ გიორგაძე, რატომ მისცეს წასვლის საშუალებაო?

— რა საფუძვლით უნდა დაგვეკავებინა? მაშინ ხომ არც ვინმეს ჩვენება და არც რაიმე მტკიცება არ გვქონდა?

როცა საქმეს ვიძიებთ, ჯერ მასალებს ვკრებთ და ასე თანდათან მივდივართ დასკვნამდე: არის თუ არა სამხილი მასალები საკმარისი. როცა იგორ გიორგაძე წავიდა, ასეთი მასალები არ გვქონდა და ბუნებრივია, ვერც სანქციას გავცემდით მის დაკავებაზე.

დღეს სხვა მდგომარეობაა, მისი დანაშაულის ყველა დამამტკიცებელი მასალა გვაქვს.

— ამას წინათ რედაქციაში მოვიდა ერთ-ერთი პატიმრის დედა და განაცხადა, ჩემს შვილს წამებით, ელექტროშოკით აღიარებინეს დანაშაულიო. ამ საქმეზე დაპატიმრებულთა მიმართ ფიზიკურ ზემოქმედებაზე სხვებიც ლაპარაკობენ. ასეც რომ იყოს, ბუნებრივია, თქვენ, ალბათ, ამას არ გამიმხელთ. ამიტომ კითხვას სხვანაირად ჩამოვაყალიბებ: როგორ გგონიათ, რატომ გავრცელდა ეს ხმა?

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ რაიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება ბრალდებულთა მიმართ არ ყოფილა გამოძიების პროცესში, როგორც პროკურორი, მრავალგზის შევხვდი ბრალდებულებს. მათი უფლებების დარღვევის შესახებ რაიმე საჩივარი ან განცხადება არ შემოსულა.

გარდა ამისა, მათ არაერთხელ, ცალკე შეხვდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის, მას-მედიის წარმომადგენლები (მიუხედავად ასეთი შეხვედრებისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულებისა — საქმე ეხება განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს და სახელმწიფოს უშიშროებას), ზემოქმედების შესახებ რაიმე საჩივარი არც ერთხელ არ დაფიქსირებულა.

— საერთოდ როგორ იქცევიან ჯაბა იოსელიანი, გიგა გელაშვილი, თემურ ხაჩიშვილი და სხვები? ძიების დროს გამომძიებელსა და პატიმარს შორის გარკვეული ურთიერთობა მყარდება ხოლმე: დაძაბული, მტრული ან, გარკვეულწილად, — გულითადი. ამ შემთხვევაში როგორ არის საქმე?

— იოსელიანი, გელაშვილი, ხაჩიშვილი და ამავე საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული სხვა პატიმრები ისეთივე პირობებში არიან, როგორშიც სხვა პატიმრები. მათ არა აქვთ რაიმე შეზღუდვა, ანდა რაიმე პრივილეგია. ეს პირობები განსაზღვრულია იზოლატორის შინაგანაწესით. რაც შეეხება, ბრალდებულთა და გამომძიებლების ურთიერთდამოკიდებულებას, იგი კორექტულია ორივე მხრიდან, რაიმე გართულება და ექსცესი არ ყოფილა.

— თქვენ, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილე, ალბათ, მანამდეც იცნობდით მაღალ სახელმწიფო პოსტებზე მომუშავე ჯაბა იოსელიანს, თემურ ხაჩიშვილს, გიგა გელაშვილს, გარკვეული ურთიერთობა გქონდათ მათთან. ეს გირთულებთ თუ გიიოლებთ მათთან საგამოძიებო მუშაობას, პირადად თქვენთან როგორი დამოკიდებულება აქვთ პატიმრებს?

— ამ ადამიანებთან რაიმე პირადი ურთიერთობა, მათ დაპატიმრებამდე, არა მქონია. დღეს კი ჩვენს შორის ურთიერთობა ნორმალურია, ისეთი, როგორიც უნდა იყოს გამომძიებელსა და პატიმრებს შორის.

— ბატონო რევაზ, ტერორისტული აქტები ძალზე დიდხანს გაუხსნელი იყო, უცებ ყველა მათგანი გაიხსნა. რა იქცა თქვენთვის „ოქროს გასაღებად", საიდან დაიწყო ყველაფერი?

— სისხლის სამართლის საქმის გახსნა [illegible] ლისთვის ასოცირდება დეტექტიური [illegible] რომანისა და ფილმის კულმინაციურ მომენტად. არავითარი „ოქროს გასაღები" არ არსებობს, ეს არის უდიდესი შრომის, ფიქრისა და [illegible] შედეგი. თითოეული მოპოვებული მტკიცებულება გადის უსერიოზულესი შეფასების პროცესს. ჩვენ ურთიერთობა გვიხდება ადამიანებთან და ამდენად შეცდომის დაშვების უფლება არა გვაქვს.

ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელობის, მათი ოპერატიული მუშაკებისა და გამომძიებლების ერთობლივი დაძაბული მუშაობის შედეგი.

დიდი პროფესიული შრომა გასწია შინაგან საქმეთა სამინისტრომ მაშინდელი მინისტრის შოთა კვირაიას ხელმძღვანელობით, განსაკუთრებით კახა თარგამაძისა და თემურ მურღულიას ოპერატიულმა სამსახურებმა, გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა, გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსმა ორდე ბებიამ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლებმა გულბაათ ბესიაშვილმა, გიგლა აგულაშვილმა, კობა ნარჩემაშვილმა, თენგიზ კვარაცხელიამ და სხვებმა. აღსანიშნავია გენერალური პროკურორის მოადგილის როლანდ გილიგაშვილის მიერ გიორგი ჰანტურიას მკვლელობის საქმის გამოსაძიებლად ჩატარებული უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა.

— ხშირად გაიგონებთ, სანამ სახელმწიფოს მეთაურზე არ მოხდა თავდასხმა, რატომ მანამდე არ გაიხსნა სხვა საქმეებიო...

— ამ თავდასხმამდე პარლამენტში რომ იარაღი იყო, ვიცოდით, ამიტომ ეჭვი გაგვიჩნდა: იქ ხომ არ არის ის კაცი, ვინც ტერაქტში მონაწილეობდა? ეჭვი გაგვიჩნდა მხედრიონელებზე და მათ შორის ჯაბა იოსელიანზეც. ამიტომ შევამოწმეთ პარლამენტის შენობა და ვნახეთ იარაღი, ჯაბას კაბინეტში კი — ნარკოტიკებიც, რამაც ჯ. იოსელიანისა და მისი ხალხის მონაწილეობაზე ეჭვი გაგვიღრმავა. რა თქმა უნდა, მარტო იარაღისა და ნარკოტიკების მიკვლევა ტერაქტში მონაწილეობის დადასტურებას არ ნიშნავდა. ეს თანდათან მოხდა. იარაღის აღმოჩენის შემდეგ ეჭვის მიხედვით მოხდა დაპატიმრებები. დაკითხვებისას არა მარტო ამ საქმეზე, არამედ სხვა საქმეებზეც მივიღეთ აღიარებები. ასეთი რამ ხშირია: ერთ საქმეზე დაპატიმრებული კაცის რამდენიმე ჩადენილი დანაშაული აშკარავდება. ამიტომ, ისე მოხდა, რომ როდესაც ერთ საქმეზე მტკიცებები მივიღეთ, თურმე ისინი აღმოჩნდნენ დანარჩენ საქმეებში მონაწილენიც. რასაც მივაღწიეთ, — მათთან გულდინჯი მუშაობით. კაქტისა და მტკიცებების გამოწვლილვით შეგროვებით და შეჯერებული დაკითხვებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული სამსახურების აქტიური ძალისხმევით მივაღწიეთ.

ეს იყო ჩვენი „ოქროს გასაღები".

— დაბოლოს. თქვენ, როგორც ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ხელმძღვანელმა, მე უფლება დამრთეთ, გარკვეულად გავცნობოდი ძიების მიმდინარეობას, ოღონდ უშუალოდ საქმის მასალებში არ ჩამახედეთ, ასე ვთქვათ, გამომძიებლების საშუალებით, მათთან გასაუბრებით შევძელი პუბლიკაციების მომზადება. და მაინც, ზოგი ფიქრობს, რომ ამითაც კი ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია. თქვენ რას იტყოდით?

— უდანაშაულობის პრეზუმფცია არ დაგვირღვევია. ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმაზე, რომ მათ წარდგენილი აქვთ ბრალდება. დადგენილება პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ არ არის საიდუმლო დოკუმენტი. მას გამოძიების პროცესშივე ეცნობა თვით ბრალდებული, მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი — მისი კანონიერი წარმომადგენელი. სულ სხვაა საქმეში არსებული მასალები, შეკრებილი მტკიცებულებები. ამიტომაც საბრალდებო დასკვნის შედგენამდე არაფერს ვამბობთ ასეთ დეტალებზე.

გამოძიება უფლებამოსილია გარკვეული მოცულობით გამოაქვეყნოს მოპოვებული მასალები, ამასთან ჩვენ ვლაპარაკობთ ბრალდებულებების და არა დამნაშავეთა შესახებ — ცნოს პირი დამნაშავედ, ეს სასამართლოს კომპეტენციაა.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ". № 139-141,144,147,151,155,156,159, 162, 170.

თერაძს უ გადაეყრებით!

ვ ასე, 23 აგვისტოს გელა არავა სასამართლო პროცე- გამოცხადდა და ჩვენებაც მი- . როგორც ვთქვით, იგი ეც ჩამოვიდა, 17 მაისს, მა- მ... ჩვენების მიუცემლად სა- ც გაქრა. მიზეზი? საერთოდ, ებაში უმიზეზოდ ხომ არა- რი ხდება? ბილისში გელა ქაცარავას შე- ა გვარდიის ფორმაში გამო- ბილი ვიღაც პიროვნება და ხრა: აქ ლოთი ქობალიას ბი- ია, თვალი არ მოგკრან, თო- კარგს არაფერს დაგმართე- ნ. ყველა ნორმალურ ადამიანს შიშის გრძნობა. შეეშინდა ა ქაცარავასაც, სასამართლო ოცესზე აღარ გამოცხადდა და ლიდანაც გადაიკარგა, თავი ნეთს შეაფარა. მარტო გელა ქაცარავა კი არა, თი ქობალიას ხალხის შიშით ერი სხვაც გაპარულა სახლი- ნ. ეს პროცესზე მრავალჯერ მოჩნდა. თბილისში დაშინება აკმარეს თურმე, ხობშიც მი- ლან. გელას მშობლებისათვის ქვამთ, — თქვენი შვილი სა- მართლო პროცესზე ნუ წავა, თერაძს ნუ გადაეყრებაო, და მაინც წავა, ლოთი ქობალიას არგებლო ჩვენება მისცესო. ს იყო აშკარა მუქარა და მუ- აზე ახალგაზრდა კაცმა რე- რება მოახდინა: იგი თბილი- ჩამოვიდა და შექმნილი ვი- ების შესახებ სამართალდა- ვ ორგანოებს შეატყობინა. სასამართლოს თავისი ჩვე- აც მისცა... ელა ქაცარავა პირველი არ ს იმათგან, ვინც ხობის ხი- ან დატრიალებული ტრაგე- ს უშუალო თვითმხილველია მას აშინებენ, ემუქრებიან. მარტსანატო შენგელიასაც მი- რდნენ შინ, სასტიკად სცე- ზგინეს. 27 ივლისს უკვე ზუ- დში სცემეს. ახლახანს სასამა- ლო პროცესზე ეთერ ბიწა- ძემაც საჯაროდ განაცხადა, რომ ეშინია, ეშინია მუქარისა, ანგარიშსწორების. არის ლოთი ქობალიას ხალხი, რომელიც ამას აკეთებს.

ერთხელ უკვე ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ: ასეთი კონკრეტული შემთხვევები ძალზე დამაფიქრებელია. მოწმეები უმწეო მდგომარეობაში არიან, არ არსებობს მათი დაცვის მექანიზმი. ეს მექანიზმი თავად სახელმწიფომ უნდა შექმნას. დადგა უკვე საამისო დრო. პროკურატურის ორგანოები სერიოზულად მოეკიდნენ მოწმეთა დაცვას და მათ ხელმყოფთა მიმართ კანონით გათვალისწინებულ უმკაცრეს ღონისძიებებს განახორციელებენ. და სწორედაც მოიქცევიან. ამით მოიგებენ არა მარტო მოწმეები, არამედ სამართალდამცავი ორგანოებიც. როცა მოწმე ყოველმხრივ დაცულია, მაშინ გაცილებით ადვილია მისგან მართალი ჩვენების მიღებაც და პროცესის ნორმალურად წარმართვაც.

არ დავმალავ, ასეთ რთულ პირობებში, მოწმეებმა როგორც გამოძიებისას, ისე სასამართლო პროცესზე გამოსვლისას დაადასტურეს, რომ ხობისწყლის ხიდთან დათო ბოლქვაძეს 1993 წლის 28 ოქტომბერს, ესროლა ლოთი ქობალიამ... როგორც ჩანს, სიმართლეს პირს ვერ ამოუქოლავ, — ვერც ხვეწნა-მუდარით და ვერც ცემა-მუქარით... სიმართლე თავისით ყვირის, თავისით კივის...

კონკრეტულად, მაინც რა თქვა სასამართლო პროცესზე გელა ქაცარავამ?

იმ ბიჭს ლოთიმ ესროლა!

ბებიაჩემის სახლიდან მოვდიოდი. ხობისწყლის ხიდთან შევამჩნიე, რომ მოჰყავდათ სამი დატყვევებული პიროვნება, ერთ-ერთს ჯინსის შარვალი ეცვა, ხელში ვიდეოკამერა ეჭირა. მაგარი ნაცემი იყო. მიიყვანეს ისინი მალაზიასთან. იქ იდგნენ მანქანები. იმ მანქანების მხრიდან წამოვიდა ლოთი ქობალია და პირდაპირ დათო ბოლქვაძეს მივარდა: ზუსტად შენ გეძებდი, შენი ასე და ისეო. ბოლქვაძე ეხვეწებოდა, არ მომკლათ, ჟურნალისტი ვარო და თან მაღლა სწევდა რაღაც მოწმობას. ლოთიმ ამას ყურადღება არ მიაქცია და პირდაპირ ესროლა. ამის დანახვაზე შემეშინდა, მოვტრიალდი და ხიდის ქვეშ შევედი, კიდევ გავიგონე რამდენიმე სროლის ხმა.

სამართალი

ჭეშმარიტებას პირს მერ ამოუქოლავ

— ნამდვილად ლოთი ქობალია იყო, ვინც დათო ბოლქვაძეს ესროლა? თქვენ გარკვევით ხედავდით მას? — ჰკითხეს სასამართლო პროცესზე გელა ქაცარავას.

— დიახ, ნამდვილად ის იყო, მე მას გვერდიდან ვხედავდი. მას ეცვა ყავისფერი ქურთუკი და ხელში გრძელლულიანი იარაღი ეჭირა, ის „სტეჩკინს" ჰგავდა. მე იგი ადრეც ბევრჯერ მინახავს სამხედრო კომისარიატში, როცა გამიწვიეს ხობის მე-5 ბატალიონში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯამბულ სოსელია.

— ადასტურებთ მოწმის ჩვენებას? — ახლა ლოთი ქობალიას ჰკითხეს სასამართლო პროცესზე.

— რას ვადასტურებ, მე იმ დღეს საერთოდ იქ არა ვყოფილვარ!

ამ პასუხმა ყველა გააოცა. მერე მოწმის მიმართ ლოთის მიერ ნასროლმა ლუღლუღა რეპლიკამ ერთობ მშვიდსა და მდუმარე დათო ბოლქვაძის დედას, ქალბატონ ლია ისიანს მოთმინების დიდი უნარიც დააკარგვინა... პატარა ინციდენტის შემდეგ ვითარება ისევ ჩაცხრა...

1993 წლის 28 ოქტომბერს ხობისწყლის ხიდთან რომ ნამდვილად ლოთი ქობალია იყო თავისი ამალით, ამას მარტოოდენ გელა ქაცარავა არ ადასტურებს. ამ ტრაგედიის თვითმხილველნი სხვებიც იყვნენ: ეთერ ბიწაძე, ნატო შენგელია, ბონდო კუტალია... ამ დღეს ლოთი ქობალიასა და მისი შეიარაღებული ფორმირებების იქ უდავო ყოფნას თავიანთ ჩვენებებით ადასტურებენ განსასჯელები სოსო ჟღენტიც და ჯამბულ ბოკუჩავაც. ლოთი კი ამას ახლა უარყოფს. თუმცა მარტო ამას?

ადრე მიცემულ ჩვენებაში ლოთი ქობალიამ თავად აღიარა ერთ-ერთი ჟურნალისტის დახვრეტა: „მე მივდიოდი ზუგდიდის მხრიდან. ხობის ხიდთან დავინახე, რომ მალაზიასთან მოჰყავდათ სამი პიროვნება. მითხრეს ეს მარადიორები არიანო. მწყობრიდან გამოსულმა ვიყვირე, — რამდენჯერ უნდა გაგიშვათ, რამდენჯერ უნდა გაპატიოთ უდანაშაულო ხალხის აწიოკება-მეთქი და ჩემს ხელთ არსებული პატარა ზომის ავტომატური იარაღიდან ვესროლე იმ სამ პიროვნებას. შემდეგ გავიგე, რომ ერთ-ერთი ამ სამთაგან, ვიღაც ჟურნალისტი იყო".

ახლა ლოთი ქობალია ამასაც უარყოფს. უარყოფს, მაგრამ ფაქტს სად გაექცევა? გელა ქაცარავას ასეთი ჩვენება პირველად არ მიუცია.

1993 წლის 18 ნოემბერს მან ზუსტად აღწერა ხობისწყლის ხიდთან ბოლქვაძის დახვრეტა: — მე უშუალოდ დავინახე, თუ როგორ ესროლა ლოთიმ იმ ბიჭს, იგი ქობალიას აჩვენებდა რაღაც პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, მაგრამ მან მაინც ესროლა გრძელლულიანი პისტოლეტიდან. სროლის შემდეგ იგი წაიქცა.

იგივე გაიმეორა გელა ქაცარავამ 1994 წლის 16 აგვისტოს ლოთი ქობალიასთან დაპირისპირებისას და 17 აგვისტოს — დამატებით დაკითხვისას: — სინამდვილეში მე დავინახე, თუ როგორ ესროლა ლოთი ქობალიამ მაღალ, სუსტ, ჯინსის შარვლიან ჟურნალისტს.

სასამართლო პროცესზე მოწმეს ზოგჯერ ერთი და იგივე კითხვა ბარე 19-ჯერ შეუტრიალ-შემოუტრიალეს, რაღაც უზუსტობებში „გამოჭერა" დაუპირეს, მაგრამ მთავარი მაინც ვერ გადაათქმევინეს: — იმ ბიჭს ლოთიმ ესროლა! და ეს გელა ქაცარავამ გააკეთა უძნელეს პირობებში. ასეთი სიმართლისა და გამბედაობისათვის დათო ბოლქვაძის დედა მას შუბლზე ეამბორა.

აქაც არ იშლიან

ზემოთ ვთქვით, რომ სასამართლო პროცესზე ლოთი ქობალიას ქცევამ და მისმა ერთმა ნასროლმა რეპლიკამ დათო ბოლქვაძის დედას მოთმინების დიდი უნარი დააკარგვინა, რამაც დარბაზში პატარა ინციდენტი წარმოშვა. ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა ლია ისიანმა სასამართლოს ასეთი განმარტება მისცა:

„მე კარგად მესმის მეგრული. სასამართლო პროცესზე ლოთი ქობალიამ მოწმე გელა ქაცარავას მეგრულად უთხრა: „იცოდე, როგორც ღორს, ისე დაგკლავენ!" ამის გაგონებაზე წამოვიწიე, უნდა მეთქვა, — როცა სასამართლო დარბაზში ასე იმუქრებიან, რაღას იზამენ ისინი იქ, პროვინციაში. ლოთი ქობალია მიხვდა, რომ მე „გავშიფრე" მისი ნათქვამი და გამწარებულმა აღარაფერი მაცალა: — „დაეგდე მანდ!" ამან მთლად ამწეწა და სხვისი დამამშვიდებელი აქეთ დასამშვიდებელი გამხადა.

„ბარაქალა" გაზეთ „ალიას" კორესპონდენტს ირაკლი გედენიძეს, რომელმაც 27-28 აგვისტოს ნომერში ერთმანეთის გვერდით ასე ოპერატიულად წარმოაჩინა ლოთი ქობალიას სავსებით დამშვიდებული, დაწყნარებული და ჩემი ასევე სავსებით აღშფოთებული, აალმასებული სახე. ამ ფოტოკორესპონდენტს, ჩემის აზრით, დიდი მომავალი ელის! მაპატიოს გედენიძემ, მაგრამ მისთვის ასე ვერაგულად რომ მოეკლათ შვილი, შერჩებოდა მას ჩემდენი გამძლეობა და თავდაჭერა?

მე ლოთი ქობალიას მომხრეები ძალიან ხშირად კულისებში მიმტკიცებენ, რომ დათოს გადალებული ჰქონდა „მხედრიონელთა" მიერ მხატვარ ვახტანგ ნოდიას მკვლელობა და თითქოს ეს მკვლელობა მას სხვისთვის უნდა მიეწერა. ზოგმა ბინძურმა მისი სახელი სხვაგვარადაც შელახა, სინამდვილეში ჩემს შვილს არაფერი დაუშავებია, არაფერი გაუფუჭებია. დათო ადრე სამეგრელოში არასოდეს ყოფილა. იგი იქ ჩავიდა 1993 წლის 28 ოქტომბერს საერთაშორისო ტელესააგენტო WTN-ის კორესპონდენტთან ერთად. და ჩასვლიდან რაღაც სამიოდ საათში ასეთი ბედი არგუნეს, მტრის ტელევიზიიდან მოსულ „ჯაშუშად" მონათლეს!

ირაკლი გედენიძის მსგავსად ბევრ სხვა ჟურნალისტსაც არ ამოსდის მზე და მთვარე ამ მთავრობაზე და გესლიან პასკვილებსაც ხშირად აცხობს, მაგრამ... დამისახელეთ ამ ხელისუფლების მიერ ერთი დახვრეტილი ჟურნალისტი. ჩემს შვილს კი მკერდიდან ჩამოგლიჯეს ჩემს მიერ ნაჩუქარი წმინდა ნინოს ჯვარი, ფეხსაცმელები გახადეს, სცემეს და ისე დახვრიტეს.

თუ ესენი მოწოდებით ჟურნალისტები არიან, პროფესიული სოლიდარობის გამო, კოლეგის მკვლელს არ უნდა თანაუგრძნობდნენ, მაგრამ... ყველაფერს კადრულობენ!"

ქალბატონმა ლია ისიანმა სასამართლო პროცესზე ადრეც თქვა: — „მე ჩემი არხებით ნამდვილად ვიცი, რა ტერორს განიცდიან ხობში მომხდარი ფაქტის მნახველები. ამიტომ ვაცხადებ, — თუ რაიმე მოუვა მოწმეებს ან დაზარალებულებს, პასუხისმგებლობა მთლიანად ბრალდებულებმა უნდა იკისრონ".

მე აქ დავამატებდი: არა მარტო მოწმეებსა და დაზარალებულებს, არამედ მათთვის არასასურველ ჟურნალისტებსაც, რადგან ასეთი მუქარაც უკვე მოდის. დიახ, სხვა ჟურნალისტებსაც უპირებენ ანგარიშსწორებას, მაშინ, როცა ჯერ დათო ბოლქვაძის ცოდვა არ მოუხსნიათ, მისი სისხლი არ ჩამოურეცხიათ...

მარტო რეპლიკა კი არა, ლოთი ქობალიამ გელა ქაცარავასკენ სასამართლო პროცესზე ყველას თვალწინ ლამის ყელის გამოსაჭრელად გაიწია. ცოტას გადარჩა, მოხსნილი საათი ზედ არ შეაფშვნა; ჯამბულ ბოკუჩავამ კი მოწმეს პერანგი გახადა „ნაკოლკების" დასათვალიერებლად და იმის დასადასტურებლად, რომ გელა ქაცარავა მას ადრე დაჭერილი ჰყავდა და ახლა აქ შურის საძიებლად მოვიდა. ეს არ დამტკიცდა!

ხავსს ებღაუჭებიან, მაგრამ სიმართლეს ვერ აბიჯებენ, შუბს ხალთაში ვერ მალავენ!

ბადრი იაშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ისრაელის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ და მისი უფროსი ძმა იონათანი. 70-იანი წლები.

სიცოცხლის შავი „მერსედესი"

ისრაელ „კომანდოსთა" ენტებეს რეიდის უცნობი დეტალები

1976 წლის 27 ივნისს, დილით ფრანგული ავიაკომპანიის თვითმფრინავმა ისრაელის ბენ-ჰურიონის აეროპორტიდან გეზი პარიზისკენ აიღო.

მალე მსოფლიოს ყველა რადიოსადგური გადასცემდა ტრაგიკულ ინფორმაციას, რომ ტერორისტებმა ხელთ იგდეს ავიალაინერი, რომელიც აიძულეს უგანდაში ენტებეს აეროპორტში დაშვებულიყო.

ტერორისტები მოითხოვდნენ ისრაელის, კენიისა და შვეიცარიის საპატიმროებში მყოფი 52 ტერორისტის გათავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში დახოცავდნენ ყველა მძევალს.

ულტიმატუმის ვადის გასვლამდე რამდენიმე საათით ადრე, 1976 წლის 4 ივლისს, გამთენიისას ისრაელის თავდაცვის არმიის გენერალური შტაბის საუკეთესო ნაწილები ჩამოფრინდნენ უგანდის აეროპორტში, რამდენიმე წუთში გაათავისუფლეს მძევლები და გაანადგურეს ტერორისტები.

ტერორიზმთან ბრძოლის ისტორიაში ეს ოპერაცია საუკეთესოდ არის მიჩნეული. სამწუხაროდ, დაიღუპა სამი მძევალი და ოპერაციის მეთაური იონათან ნეტანიაჰუ (დღევანდელი პრემიერ-მინისტრის უფროსი ძმა). მძიმედ დაჭრილი, იგი ისრაელში დაბრუნებისას თვითმფრინავში გარდაიცვალა.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, „იონათანის ოპერაციის" (ასე ეწოდა ენტებეს რეიდს ნეტანიაჰუს დაღუპვის შემდეგ) ორ მონაწილესთან ამ ხუთი წლის წინათ გაიმართა. იგი უნდა გამოქვეყნებულიყო ენტებეს ლეგენდარული რეიდის 15 წლისთავისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ ოპერაციის ბევრი მონაწილის ვინაობა და დეტალები დასაიდუმლოებული რჩებოდა, მასალის პუბლიკაცია გადაიდო.

ზეევი: „ახლა ძალიან ძნელია დაწვრილებით იმ დღეების ამბები. საქმე ის არის, რომ არსებითად ჩვენ არავითარი მომზადება არ გაგვივლია.

თავდაპირველად ამ ოპერაციას „ფეროსებრი ელვა" უწოდეს. სწორედ ასე ეწოდებოდა იმ წლებში პოპულარულ ფილმსა და წიგნს ჯეიმს ბონდზე. მაგრამ ჩვენ სულაც არ ვიყავით სუპერმენები, თვალდახუჭული რომ სვამენ ტყვიას ტყვიაში, ... ჩვენ ვიყავით ჯარისკაცები, რომლებსაც მძევლები უნდა გადაგვერჩინა. ჩვენს ჯარებში არ მოიძებნებოდა არც ერთი სამხედრო მოსამსა...

...ნი. მან ავტომობილი სრულ წესრიგში მოიყვანა. ხელახალი შეღებვის შემდეგ „მერსედესი" უკვე რაღაცით დაემსგავსა იდი ამინის მანქანას. მაგრამ შეიძლებოდა პრეზიდენტის „მერსედესი" უპრეზიდენტოდ ყოფილიყო? ამასთან დაკავშირებითაც სიძნელეები წარმოიშვა. არავის სურდა, ამინი ყოფილიყო. საბოლოო ანგარიშით იონათანმა სასჯელის მუქარით დაამტკიცა შესაფერისი კანდიდატი."

არიქი: „როდესაც ოპერაციის გეგმას დეტალურად ვამუშავებდით, შევიტყვეთ, რომ „მერსედესში", ცრუ ამინისა და მძღოლის გარდა უნდა ყოფი...

ზეევი: როდესაც იმ დარბაზში შევვარდი, სადაც მძევლები იყვნენ, და სროლა ავტეხე, ჩემი ყურით გავიგონე, როგორ აღრიალდა ერთი ჩვენგანი: „რა კარგია! მაგრები ვართ!" ყვიროდა იმისათვის, რომ მძევლები მიმხვდარიყვნენ, ვინ ვიყავით, და შეძლებისდაგვარად დაგვემშვიდებინა ისინი, სროლის ატეხვამდე რამდენიმე წამით ადრე კი ებრაულად შევუძახეთ: „დაწექით! არ გაინძრეთ! თქვენიანები ვართ!" სამწუხაროდ, ერთ-ერთი ტყვე წამოხტა და მყისვე დაეცა ტყვიით განგმირული".

ზეევი: „მე მგონი, უბრალოდ არ...

...დაც სულ რამდენიმე წუთის წინათ ტერორისტების ავტომატები ჰქონდა მოღერებული, და იცით, რისთვის? იქ დარჩენოდა ვისკისა და სიგარეტის პაკეტი, რომელიც ბაგით დაუბეგრავ ზონაში ეყიდა. მეორემ გულისწყრომა გამოთქვა, როდესაც გაიგო, რომ ისრაელში მივფრინავთ. აგვიხირდა, ბილეთი პარიზამდე მაქვს აღებული და ახლავე საფრანგეთში რომ არ გავემგზავრო, არაფრისდიდებით არ შეიძლებაო".

არიქი: „ბუნებრივია, რომ არსებობდა უკანდახევის გეგმა, მაგრამ ოპერაციის დაწყებამდე იგი მხოლოდ ნაწილის მეთაურებმა იცოდნენ. მე ვფიქრობ, ეს იმით აიხსნება, რომ მი...

...ნაწილებს თავიდანვე რომ სცოდნოდათ ჩვენი სარდლობის გეგმები, ეს კიდევ უფრო მეტად დათრგუნავდა მათ. საქმე ის არის, რომ მარცხის შემთხვევაში ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა სახმელეთო ვარიანტი, ანუ დაგვეხია კენიის საზღვრისაკენ, სადაც ადგილობრივი ხელისუფალნი მიგვიღებდნენ. ახლა წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნებოდა ეს უკანდახევა. ჯარისკაცებით, მძევლებით, დაჭრილებით, დახოცილებით და სამხედრო ტექნიკით დატვირთული „ჯიპები" და ჯავშანტრანსპორტიორები მიქრიან უცნობ არემარეში და მათ უკან მოსდევენ უგანდის ჯარები, ხმელეთზე და ჰაერში, ამასთან, გასავლელი აქვთ რამდენიმე ასეული კილომეტრი.

ეს უბრალოდ შეუძლებელი კი არა, წარმოუდგენელიც იყო".

არიქი: „სინამდვილეში სარდლობამ შემთხვევით როდი შეიმუშავა უკანდახევის ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდული გეგმა. იგი ჩვენსავით აბსოლუტურად დარწმუნებული იყო ოპერაციის წარმატებაში. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ისევე, როგორც, ვერ იქნებოდა ოპერაცია უკანდახევის გეგმის უქონლად. ხოლო რაც შეეხება მის აბსურდულობას, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველამ ვიცოდით, რომ აქა...

...ავტომობილი მაგვალითო მდგომარეობაში იყო. ავზს ბენზინი გასდიოდა, ძრავი არ იქოქებოდა, ერთი ფარი არ ინთებოდა, საბურავები ისე იყო გაცვეთილი, რომ ნაცრეცებში ჩამის მუჭი გამოსჭვიოდა. შეღებვის მეორე დღეს მანქანა ფორაჯებით დაიფარა. თან ისე მაგრა, რომ ღამის ოპერაციაშიც კი არ გამოდგებოდა.

კიდევ კარგი, რომ ბაზაში გვყავდა დიდებული მექანიკოსი დანი დეგე...

...ნიანები უგანდელები გვგონებოდა და ერთმანეთისთვის დაგვეწყო სროლა".

არიქი: „ყველაფერი კარგად დაიწყო. ასაფრენ ზოლზე პრეზიდენტის „მერსედესის" გამოჩენას ეჭვი არ გამოუწვევია და დიქტატორის შეზვედრის სრული ეფექტი მოახდინა. ჩვენ მოვიგეთ პირველი, ალბათ ყველაზე ძვირფასი წუთები და ამით უზრუნველვყავით დაკისრებული მისიის წარმატება.

ზეევი: „ერთმა მძევალმა ხომ პირდაპირ შეგვიკლა. როცა განთავისუფლებული ტყვეები დარბაზიდან გამოგვყავდა, სიტყვაც არ უთქვამს, უკან გაბრუნდა და ჩემოდნების გროვაში დაიწყო თავისი დიპლომატის ძებნა. მერე, ქუჩაში რომ გამოდიოდა, ყველას დასანახად დაირტყა ხელისგული შუბლზე, როგორ დამავიწყდაო, და მეორედ შებრუნდა დარბაზში, სა...

...რედ რა, რა მოხდა?" „იონათანი მოკვდა..." — ხმადაბლა თქვა ბარაქმა და თვითმფრინავიდან გავიდა. აქამდე ყველას გვეგონა, რომ იონათანი მხოლოდ დაჭრილი იყო და უეჭველად გადარჩებოდა..."

ჟურნ. „ოგონიოკი", №32, აგვისტო.

იბეჭდება შემოკლებით.

ყირიმის პარლამენტის სპიკერმა ტყვეობას თავი დააღწია

ევგენი სუპრუნიუკს, ყირიმის პარლამენტის სპიკერს, მიაჩნია, რომ ისი მოტაცება პოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

25 აგვისტოს ღამით სუპრუნიუკი უცნობმა პირებმა მოიტაცეს და სიმფეროპოლიდან დაახლოებით 100 კილომეტრზე, კრასნი პერეკოპის ერთ-ერთი აგარაკის სარდაფში ჰყავდათ დამწყვდეული. სუპრუნიუკმა შეძლო ტყვეობისათვის თავი დაეღწია და გაქცევით უშველა თავს.

მოსკოვი: ცოცხლად დაწვეს ... კაცი

ორი უცნობი პირი შეიჭრა „პაბ"-ის კლუბის შენობაში და იარაღის მუქარით აიძულა ყველა იქ მყოფი იატაკზე დაწოლილიყო. ამის შემდეგ დამნაშავეებმა გარედან ამოქოლეს კარები და სახლს ცეცხლი წაუკიდეს.

შემთხვევის ადგილზე მოსულმა მეხანძრეებმა 8 დანახშირებული გვამი იპოვეს. სამი კაცი მძიმე დამწვრობით საავადმყოფოში მიიყვანეს.

ქოლერის ვიბრიონი ჩინურ პროდუქტებში

134 კაცი დაავადდა და 9 დაიღუპა მონღოლეთის ქალაქ ხუტულში, სადაც ჩინელმა მუშებმა სასურსათო პროდუქტები ჩაიტანეს. ამ პროდუქტებში ქოლერის ვიბრიონი გამოვლინდა. თვით ჩინელ მუშებს შორის არავინ დაავადებულა, რადგან თადარიგიანი ჩინელები კერძის დამზადების წინ მას საგულდაგულოდ ამუშავებდნენ მაღალ ტემპერატურაზე, რის შედეგადაც, ქოლერის ვიბრიონი იღუპებოდა.

რუსეთი გმობს ლატვიის ხელისუფალთა დისკრიმინაციულ პოლიტიკას

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება იმის გამო, რომ ლატვიის სეიმმა მიიღო დეკლარაცია „ქვეყნის ოკუპაციის შესახებ", რომელშიც ლატვიელი პარლამენტარები „ხალხის სახელით მოუწოდებენ მსოფლიოს ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს ცნონ რუსეთის მიერ ლატვიის ოკუპაციის ფაქტი და გაუწიონ ლატვიას პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება ოკუპაციის შედეგების ლიკვიდაციაში". სამინისტრო აცხადებს, რომ „ეს არის უპრეცედენტო ცინიზმის აქტი, რომლის მიზანია შეუქმნას სამართლებრივი ბაზა ლატვიიდან რუსულენოვანი მოსახლეობის გამოდევნას, აგრეთვე ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენოს რუსეთს".

„აქტუელეს ცაიტგეშეიენი": რუსეთში ირღვევა ადამიანის უფლებები

როგორც ჟურნალი „აქტუელეს ცაიტგეშეიენი" წერს, რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივ დღეს დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დროს. კერძოდ, ჟურნალისტი განიხილავს რუსი მეზღვაურის ალექსანდრე ნიკიტინის ბედს, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ჯაშუშობის ბრალდებით იმყოფება პეტერბურგის საპატიმროში. მისი ერთადერთი დანაშაული, ამტკიცებს ჟურნალი, ის არის, რომ იგი შედიოდა ნორვეგიის ეკოლოგიურ ორგანიზაციაში „ბელუნა", რომელიც გმობდა ბარენცის ზღვაში რადიაციული ნარჩენებისა და მოძველებული ბირთვული წყალქვეშა ნავების ჩამარხვას. ნიკიტინი „ბელუნას" გადასცემდა მხოლოდ და მხოლოდ ზღვის სხვადასხვა არეებში რადიაციის დონის გაზომვის შედეგებს. რადიაქტიური ნარჩენების ჩამარხვის ფაქტი კი უკვე აღარ არის სახელმწიფო საიდუმლო და 35 წელიწადზე მეტია, ოფიციალურად ქვეყნდება. ხოლო რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი სახელმწიფო საიდუმლოს ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ოცდაათ წელიწადს. ამრიგად, აბსურდია იმის ლაპარაკი, რომ ალექსანდრე ნიკიტინი ნორვეგიის ჯაშუში იყო და სახელმწიფო საიდუმლო გასთქვა. ამჟამად ნორვეგიასა და საფრანგეთში შექმნილია საზოგადოებრივი კომიტეტები, რომლებიც მიზნად ისახავენ გავლენა მოახდინონ რუსეთის მთავრობაზე და აიძულონ იგი შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმები.

აშშ სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველომ ამ რამდენიმე დღის წინათ კონგრესს განსახილველად წარუდგინა მოხსენება, რომელშიც გამოტანილია დასკვნა, რომ რუსეთს დღესდღეობით არ შესწევს უნარი აწარმოოს საბრძოლო მოქმედება თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ამის მიზეზია არმიის რიცხოვნობის შემცირება, თანამედროვე შეიარაღების უქონლობა, სპეციალისტთა მომზადების დაბალი დონე და ცუდი დისციპლინა. მოხსენების თანახმად, რუსეთი საგარეო საფრთხის შესაძლო წყარო ვერ გახდება სულ ცოტა 2005 წლამდე, ისიც, იმ პირობით, თუ წარმატებით განახორციელა სამხედრო რეფორმა. მიუხედავად ამისა, რუსეთს საკმაოდ ძლიერი არმია ჰყავს საიმისოდ, რომ მოიგერიოს ნებისმიერი გარეშე აგრესია და, საჭიროების შემთხვევაში, წესრიგი დაამყაროს საკუთარ ტერიტორიაზე (?).

მწეველებს ყველგან ებრძვიან

გაზეთი „ბილდ ამ ზონტაგი" წერს, რომ გერმანელმა პოლიტიკოსებმა წამოიწყეს ბრძოლა თამბაქოს წევის წინააღმდეგ. მათ ფრთა შეასხა აშშ პრეზიდენტის ბილ კლინტონის მაგალითმა, რომელმაც ნამდვილი ომი გამოუცხადა თამბაქოს ნაწარმის ფირმებს. არამწეველ გერმანელთა უფლებებს კანონი არ იცავს, აცხადებს გაზეთი. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკოსები, რომლებიც როგორც მთავრობას, ისე ოპოზიციას წარმოადგენენ, მზად არიან ბუნდესტაგის განსახილველად შეიტანონ თამბაქოს წევასთან ბრძოლის ღონისძიებათა პაკეტი. კერძოდ, განზრახული აქვთ შემოიღონ ჯარიმა სამუშაო ადგილებზე და ბავშვებიან მანქანებში თამბაქოს წევისათვის, გააძვირონ სიგარეტი და აკრძალონ მისი რეკლამა. „ყველას დაუჩემებია ნარკოტიკები და შიდსი, არადა, თამბაქოს წევა და ალკოჰოლი გაცილებით უფრო საშიშია", თვლიან გერმანელი პოლიტიკოსები.

ლეგიტიმურ ხელისუფლებას არაფერი ეკითხება

გროზნო: ჯარისკაცებმა ჩექმა გაიძრეს...

ჩეჩნეთის რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ილიას სიგაური მოიტაცეს შეიარაღებულმა უცნობმა პირებმა, როდესაც იგი გროზნოდან აჩხოი-მარტანში მიემგზავრებოდა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ალხაზურ ცაკაევმა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ჩეჩნეთის ლეგიტიმური ხელისუფლება არც კი გააკარეს მოლაპარაკების პროცესს, რომელსაც პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი ალექსანდრე ლებედი ეწევა შეიარაღებული ოპოზიციის ლიდერებთან. „მოსკოვი საერთოდ უგულებელყოფს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლეგიტიმურ მთავრობას", დასძინა ვიცე-პრემიერმა.

გვერდზე გამოყენებულია საგარეო საინფორმაციო საარსებოსა და პრესის მასალები.

ქმობის ხიდი

ვინც ცხოვრების გამოწვევას არ შეუშინდა

ბევრმა თანამედროვემ ვერ გაუძლო ცხოვრების მკაცრ მოთხოვნებს, დანებდა, ზოგიერთი თვითგვემით გამოხატავს დამოკიდებულებას განვლილი გზის მიმართ. ყველაფერი დაგროვდა, აისახა ზნეობის სფეროში. ამიტომ ყველაზე მეტად ზნეობას უჭირს დღეს. სამწუხაროა, რომ სხვის კმაყოფაზე ცხოვრების ფსიქოლოგია გზას იკვალავს.

...

...გავლენას ახდენდა და მისი გამაკეთილშობილებელი დინება განვითარების პროცესს სიკეთის გზით წარმართავდა. ბოლო პერიოდში კი მეორემ მყარად მოიკიდა ფეხი და იგი, სამწუხაროდ, გაბატონებას ლამობს დღესაც.

...ლე, ახლა სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. პარალელურად ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში კითხულობდა პოლიტიკურ ეკონომიასა და ეკონომიკურ თეორიას; ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. მისი მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების რიცხვი ცხრა ათეულს აღემატება...

...პასუხისმგებლობა — აი, მისი დამახასიათებელი თვისებები.

ბანკის რიგითი მუშაკობიდან დაიწყო და სამინისტროს ხელმძღვანელობამდე ავიდა: ხუთჯერ იყო ხუთ სამინისტროში მინისტრის მოადგი...

...ტანა მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტების ფორმირების საქმეში.

იგი შემოქმედია, პრინციპულ პოზიციებზე მყარად მდგომი მეცნიერ-მკვლევარია. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული...

...კუთრებით აღნიშვნის ღირსია მის მიერ უკანასკნელ წლებში თანამედროვე პოზიციებიდან დამუშავებული საქართველოს ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, მათი განხორციელების გზები, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საფინანსო და საკრედიტო სისტემების ფორმირების თეორიული წანამძღვრები და სხვ.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიებზე დაყრდნობით ფულის მიმოქცევისა და კრედიტის, ფინანსების საფუძვლების, საბანკო საქმისა და საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების...

...ესრულდა, რადგან ახალგაზრდა და ახალგაზრდულია ყოველთვის.

ნოდარ ჭითანავა,

ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სანთელი

განშორების ტკივილი

„მერანსა" თუ „ხელოვნებაში". სანამ ამ წიგნებს მკითხველი არ დაელევა, უკვდავი იქნება მხატვრის ხსოვნაც. მისი შემოქმედების გვირგვინად კი დარჩება „ანბანთქება" — 36 გრაფიკული ფურცლის შემცველი ალბომი, ქართული ანბანისადმი მიძღვნილი თავისებური ჰიმნი.

ოთარ ჯიშკარიანს ფაქიზად უყვარდა თავისი სამშობლო, ბევრს მოგზაურობდა...

...

გიორგი ლალიაშვილი.

გახსენება

შოთა დედიაშვილი

რა უდროო და უსამართლო იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან. როგორ დატოვე შენი ოცნება და პირველი სიყვარული — ანი ორ პაწიასთან ერთად. მათ ხომ შენი სითბო, შენი ალერსი ჰაერივით სჭირდებათ. გიმძიმდა გამგზავრება, თითქოს გული გიგრძნობდა, ნარიყალას და მამადავითს ვეღარასოდეს იხილავდი; თითქოს წინასწარ იცოდი, რუსთაველზე გავლა საბოლოო იქნებოდა შენთვის, ამიტომ იყო, გამგზავრების წინა დღეებში გვიან ღამემდე ვერ ელეოდი თბილისის ქუჩებს, თბილისურ საღამოებს...

მეხის დაცემას ჰგავდა ჩვენთვის იმის გაგება, შოთიკოს გულმა უმტყუნაო. ჩვენო ახალგაზრდა, ლამაზო ვაჟკაცო, როგორ უნდა გადავიტანოთ უშენობა, რამ უნდა გვანუგეშოს. შენი პატარები ყოველ საღამო შენ გელოდებიან.

უშენოდ ჩვენთვის სიხარული აღარ არსებობს. მსუბუქი ყოფილიყოს შენს მკერდზე დაყრილი უცხო ქვეყნის მიწა, ჩვენო უძვირფასესო...

შენი თბილისელი ნათესავები და ახლობლები.

სააქციო საზოგადოება
„ქართული ფილმი"

12 სექტემბერს, 12 საათზე, კინოთეატრ „რუსთაველში" დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის" თანამშრომელთა კომანდიტური საზოგადოების წევრთა განმეორებითი საერთო კრება.

დღის წესრიგი:
1. ს/ს „ქართული ფილმის" 1995 წლის ბიუჯეტის შესრულება და 1996 წლის ბიუჯეტი (ბ-ნ დ. სახეჩიძის მოხსენების განხილვა).
2. საფონდო წილების გადანაწილების საკითხი.
3. სხვადასხვა.

რაიონების კინოფიკაციისა და გაქირავების თანამშრომლებს უფლება აქვთ კრებაზე მიავლინონ არჩეული დელეგატი სათანადოდ დამოწმებული მინდობილობით.

წესდების თანახმად კრება გადაწყვეტილებისუნარიანია დამსწრეთა რაოდენობის მიუხედავად.

განცხადება

1996 წლის 29 აგვისტოს დილის 10 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „თბილთამბაქოს" აქციონერთა საერთო კრება.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა. მისამართი: წინამძღვრიშვილის № 125

აქციონერთა ჯგუფი.

ბინები, აგარაკები

სხვადასხვა

ავტომანქანები





ტელ. 99-73-24.

ნებისმიერი ეროვნული მოძრაობის საფუძველში მუდამჟამს სჭარბობს ემოციები, რომლებიც ეძებენ გამოსავალს ეროვნულ თვითდამკვიდრებაში, ეროვნული დამცირებისა და დათმობის დაძლევაში, და მაშასადამე, იმ მტრების ძიებაში, რომლებთან ბრძოლაშიც პოვებს ერი საკუთარ თავს. და სწორედ ეს შესთავაზა საქართველოს გამსახურდიამ. გუშინდელმა დისიდენტმა თავისი სახელმწიფო მოღვაწეობა დაიწყო გარეშე თუ შინაგანი მტრების გაფაციცებული ძიებით. გარეშე მტერი – ეს იყო, რა თქმა უნდა, კრემლი, იმპერიალისტური რუსეთი და კომუნისტური რეჟიმი. შინაგანი მტრები – ყველა ის, ვინც არ ეთანხმებოდა მის შეხედულებებს და პოლიტიკას. კრემლის აგენტები, ერის მტრები, პროვოკატორები და ა.შ. და მისთ. მაგრამ ყველაზე ტრაგიკული ის იყო, რომ შინაური მტრების როლში აღმოჩნდნენ ოსები, აფხაზები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, რომლებთანაც დაიწყო კონფრონტაცია, მერე აშკარა ომად რომ გადაიზარდა.

მეორედ საქართველოს მომავალ პრეზიდენტს 1991 წლის გაზაფხულზე შევხვდი მოსკოვის ამერიკის საელჩოში, ეს იყო აშშ სახელმწიფო მდივნის ჯ.ბეიკერის შეხვედრა მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან (კავშირი უკვე სულს ღაფავდა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობდა), აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე გაიმართა აზრთა გაზიარება კავშირში შექმნილი ვითარების, ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობის და მისგან დახმარების შესაძლო ფორმების შესახებ. როდესაც ზ.გამსახურდიას ჯერი დადგა, მან, არც აცია, არც აცხელა, და განაცხადა: „შეერთებული შტატები წარსულში მონობისაგან ათავისუფლებდა ადამიანებს. ახლა დადგა დრო, როდესაც ამერიკამ მონობისაგან უნდა ათავისუფლოს ხალხები. საქართველო დამონებული ქვეყანაა, ამიტომ ჩვენ ვთხოვთ ამერიკას, დაგვეხმაროს მონობისაგან განთავისუფლებაში და შემოიყვანოს საქართველოში ამერიკის ჯარები“.

ამ ტირადის შემდეგ უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა. საუცხოოდ მესმოდა, რა ორაზროვან მდგომარეობაში აღმოჩნდა აშშ სახელმწიფო მდივანი, ამიტომ იძულებული გავხდი ჩავრეულიყავ და მეთქვა, რომ ჩვენს შინაურ პრობლემებს ჩვენ თვითონვე გადავწყვეტთ გარედან ვისიმე დაუხმარებლად, ისე, რომ არ ავკიდოთ ჩვენი პასუხისმგებლობის ტვირთი სხვას. ამის შემდეგ შევთავაზე დავბრუნებოდით სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დახმარებისა და თანამშრომლობის მექანიზმის საკითხის განხილვას.

ცნობები, რომლებიც ჩვენ საქართველოდან მოგვდიოდა გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ძალზე წინააღმდეგობრივი იყო და ჩიხში გვაყენებდა. ერთი მხრივ, ადამიანები, რომელთა ნდობა შეიძლებოდა, გვიამბობდნენ ახალი პრეზიდენტისადმი მასობრივი თაყვანისცემის შესახებ.

„ჩვენ ყველანი პირდაპირ ვლოცულობდით ზვიადზე“,– მითხრა ცნობილმა მუსიკოსმა ქალმა, რომელიც ბუნებით სულ არ იყო ეგზალტაციისაკენ მიდრეკილი. მაგრამ მეორე მხრივ, სულ უფრო ხშირად მოგვდიოდა ამბები, რომ დევნიდნენ ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს, რომლებმაც გაბედეს პრეზიდენტის კრიტიკა. პეტერბურგში ჩამოდიოდნენ ქართველი მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები და მუსიკოსები, რომლებიც გაოცებულნი იჩეჩდნენ მხრებს და გვიამბობდნენ, რესპუბლიკაში რაღაც გამომათაყვანებელმა და ულმობელმა ვითარებამ დაისადგურა, შეუძლებელი გახდა მუშაობა, ხელისუფლებმა თითქოს მიზნად დაისახესო ამოცანა, საბოლოოდ გაუტეხონ სახელი ახალ წყობილებას. ცხოვრება დღითიდღე კატასტროფულად უარესდებოდა, და ვერავის ვერ გაეგო, რა ხდებოდა. არა მგონია, ისტორიაში ყოფილიყო მსგავსი მაგალითი, პოლიტიკურ ლიდერს ასე მალე რომ დაეკარგოს მისი ამრჩევი ხალხის ნდობა. ჩვენ ყველამ გარკვეულწილად გადავიტანეთ ეს. ვირჩევდით ფაცაფუცით, სასწრაფოდ, ისე, რომ ხეირიანად არც დაგვენახა და შეგვეფასებინა ჩვენი რჩეულნი. გავიდა ცოტა ხანი, და ჩვენ უკვე იძულებული ვიყავით გაოცებით გულისტკივილითა და ზოგჯერ ზიზღით გვედევნებინა თვალი ჩვენს მიერ ადგილობრივ საბჭოებში და რუსეთის ყრილობაზე არჩეული დეპუტატების დისკუსიებისათვის.

ახსნა არსებობს: ჩვენი დემოკრატიის სიყმაწვილე, დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა – უბრალოდ, ჯერ ვერ გვისწავლია არჩევა.

აღმოჩნდა, რომ თურმე არჩევაც სასწავლი გვქონდა. 75 წლის უარჩევანო არჩევნების შემდეგ არც ისე იოლი საქმეა დაეუფლო ნამდვილი არჩევნების უნარსა და ხელოვნებას. მაგრამ იმან, რაც საქართველოში მოხდა, უფრო ღრმად და მწარედ დააჩნია კვალი ადამიანთა გრძნობებს, მეტისმეტად დიდი იყო ნდობა და იმედები!

ხოლო როდესაც ხალხს თვალებიდან ჩამოსცილდა ლიბრად აკრული ქაფი, ცხადი გახდა ახალი ხელისუფლების უუნარობა გადაეწყვიტა სახელმწიფო პრობლემები, თავი იჩინა მისწრაფებამ – დაყრდნობოდა ძალას და რესპუბლიკის საარსებო პრობლემების გადაწყვეტაზე ბჭობის ნაცვლად მოჰყოლოდა მსჯელობას კრემლის ხრიკებისა და ერის მტრების შესახებ. და ასეთი მტრები დაუყოვნებლივ აღმოაჩინეს – არა მარტო საქართველოს ფარგლებს გარეთ, არამედ მის შიგნითაც. საპყრობილეში აღმოჩნდნენ ჯაბა იოსელიანი, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და არაფორმალურ ორგანიზაციებსა და ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობაში ცოტა ხნის წინათ ერთად მოღვაწე თანამებრძოლები.

მაინც, რა მოუვიდა ქართული „ჰელსინკის ჯგუფის“ ყოფილ დამფუძნებელს, რომელმაც ადამიანის უფლებების დასაცავად ბრძოლის ლოზუნგით შემოიკრიბა გარშემო ხალხი? ნუთუ გადაგვარდა, თან ასე მალე? ჯერ ხომ ნახევარი წელიწადიც არ გასულიყო, რაც პრეზიდენტად აირჩიეს, რომ უსამართლო რეპრესიები, დაპატიმრება და წამებაც კი ლამის ნორმად იქცა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოჩვენებითი პარადოქსულობის მიუხედავად, ყველაფერში, რაც გამსახურდიას დაემართა, ძნელი არ არის დაინახო კანონზომიერება და გარდაუვალობაც კი. და აქ მთავარი მარტოოდენ ის კი არ არის, თუ როგორი პიროვნება იყო ბატონი ზვიადი, როგორც სიყვარულითა და მოწიწებით უწოდებდა მთელი საქართველო უკანასკნელი წლის განმავლობაში. მიზეზი უფრო მეტად უნდა მომდინარეობდეს იმ ეროვნული თვითდამკვიდრების ტალღიდან, რომელმაც 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ მტკივნეული ხასიათი შეიძინა და ხელისუფლების სათავეში აზვირთა გამსახურდია მისი პრიმიტიულად შუასაუკუნეობრივი ლოზუნგით: „საქართველო მხოლოდ ქართველებისათვის!“

მაგრამ ამ ლოზუნგში, ქართველი ხალხის ტრადიციებისა და ხასიათისადმი მისი აშკარა შეუსაბამობის მიუხედავად, განსახიერებული იყო ეროვნული აღორძინების მთელი პროგრამა: ეროვნულ ღირებულებათა პრიორიტეტი საკაცობრიოს წინაშე, ქართველთა დამოუკიდებელი და ცენტრალიზებული (მკვიდრი ერის განსაკუთრებული უფლებების მქონე) სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელიც მით უფრო მალე მიაღწევს აყვავებას, რაც უფრო მალე დაძლევს (პოლიტიკურ და ეკონომიკურ) დამოკიდებულებას კომუნისტურ იმპერიაზე, დაძლევს თავის საბჭოთა წარსულს. აქედან მომდინარეობდა თავისი მიამიტობითა და ეკონომიკური უწიგნურობით გასაოცარი, მაგრამ მთელ ქართულ საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი რწმენა, რომ ეკონომიკური სიძნელეებისა და გაჭირვების ძირითადი მიზეზია რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქტის გადინება სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. ამიტომ საკმარისია დავიტოვოთ ყოველივე წარმოებული ჩვენთვის, ხოლო ნამეტი გავყიდოთ საზღვარგარეთ (უმჯობესია – დასავლეთში) მსოფლიო ფასებით და მტკიცე ვალუტით, რომ ეკონომიკა აყვავდება, სიძნელეებს დავძლევთ და ცხოვრება საამური გახდება. ერთი სიტყვით, როგორც არაერთგზის უთქვამს თავის გამოსვლებში გამსახურდიას: „ჩვენ საბჭოთა ოკუპანტები გვყვლეფენ, მოვიცილებთ მათ თავიდან და კარგად ვიცხოვრებთო“.*

ამგვარი ობივატელური მითები, რომლებიც პოლიტიკურ პროგრამებად იქცა და ეროვნული თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლის მონაწილე ახალი

ანატოლი სობჩაკი

თბილისის ქარტეხილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

პოლიტიკური ძალების არსენალში შევიდა, მეტნაკლებად გავრცელებული იყო სოციალიზმის ყველა ყოფილ ქვეყანაში (პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა) და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ჯერ კიდევ 80-იანი წლების დამლევს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური სახე იყო პოლონური ძროხის გამოსახულება, რომელსაც თავი პოლონეთში ჰქონდა, ხოლო ჯიქანი – საბჭოთა კავშირში.

ამასთან არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორ იყო სინამდვილეში საქმე. პოპულისტები არა მარტო პირდებიან ხალხს ყველაფრის სწრაფად დარიგებას, არამედ ორიოდ სიტყვითაც უხსნიან, საიდან მოდის მთელი ბოროტება. მათთვის ყველაფერი უაღრესად ნათელი და გასაგებია. და არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, როგორ იქმნება გასაცემისა და მისაღების რეალური თანაფარდობა, – პოლიტიკური ლოზუნგებისა და პროგრამების წარმატების ირაციონალურობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად შეესაბამება ისინი მასების მოლოდინს, განწყობილებას და მოთხოვნებს, და არა საღ აზრს.

სწორედ ეს არის პოპულიზმის, როგორც პოლიტიკური მოვლენის არსი.

ბატონი ზვიადი თავისი შეხედულებებითა და მოქმედებით ყველაზე სრულად და ადეკვატურად გამოხატავდა საქართველოს გარდაქმნის პერიოდის საზოგადოების განწყობილებასა და მოლოდინს. და სწორედ ეს იყო მისი პოლიტიკური აღმაფრენის მიზეზი. დღეს, დამხობის შემდეგ, უსამართლობა იქნებოდა დაგვებრალებინა მისთვის, რომ მან მოატყუა ერს და თავს ასაღებდა არა იმად, ვინც იყო სინამდვილეში.

სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით იყო: იგი მუდამ იყო ისეთი, როგორიც სურდა ეხილა ერს, როგორიც შექმნა მასობრივმა ცნობიერებამ – „კერპი, რომელიც თვით განგებამ აირჩია ერის ხსნისათვის“.

იმედგაცრუება ისეთივე გამაოგნებლად სწრაფი იყო, როგორც აღმასვლა. აი სწორედ აქ იჩინა თავი გამსახურდიას პიროვნების თავისებურებებმა და, უწინარეს ყოვლისა, მისმა ქცევამ პუტჩის დროს. საქართველოს ბედი, რომ სწორედ ასე მოხდა და გამსახურდიამ ვერ მოასწრო გადიქტატორება. ძნელი სათქმელია, რა ბედს სწევდნენ საქართველოს, ის და მისი გარემოცვა უფრო პრაგმატულნი და იღბლიანნი რომ გამომდგარიყვნენ.

აბა, როგორ არ გავიხსენო აქ შევარდნაძის გაფრთხილება, აპრილის ამბების შემდეგ რომ თქვა, ეროვნული იდეისათვის თვითმკვლელობის ტოლფასიაო ემოციური მიდგომა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისადმი. ეკონომიკური დამოუკიდებლობა – ეს არის გონიერების, საღი აზრის სფერო, რომელიც გვიკარნახებს, რომ ქართული ეკონომიკის რუსულისაგან იზოლირების ცდას, რომელშიც იგი ინტეგრირებული იყო ასწლეულების მანძილზე, შეიძლება მოჰყვეს მისთვის მხოლოდ დამანგრეველი შედეგები. დამოუკიდებელი ეკონომიკა აუცილებელია, მაგრამ ასეთი ეკონომიკა რომ ააშენო, საჭიროა ათობით წლის შეუპოვარი შრომა და სწორი წინდახედული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც კერძო საკუთრებას და სახელმწიფოსაგან პიროვნების ეკონომიკურ თავისუფლებას ეფუძნება. ეკონომიკური თვითიზოლაცია არსებულ პირობებში დაბეჯითებით მოითხოვდა გამსახურდიასაგან მკვდრეთით აღედგინა სახაზინო ეკონომიკა, დაეწესებინა შეზღუდვები მეწარმეობის განვითარებისათვის, გამოსულიყო მიწის გაყიდვისა და მიწის რეფორმის განხორციელების წინააღმდეგ, ერთი სიტყვით, თანამიმდევრულად ეხერხა ტოტი, რომელზეც იჯდა.

ხელისუფლების სათავეში ახალი პრეზიდენტის ყოფნის მთელი დროის მანძილზე, რომელმაც ყველაზე მკაფიოდ გამოამჟღავნა დიქტატურის მოვლენა, იყო საქართველოში კიდევ ერთი კაცი, რომელსაც სხვებზე ხშირად ახსენებდნენ საჯარო გამოსვლებშიც, პრესაშიც და კერძო საუბრებშიც, – ედუარდ შევარდნაძე.

მოწინააღმდეგეებს ვერ ეპატიებინათ მისთვის ვერც ნომენკლატურული წარსული, და ვერც ის ბრძოლა, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ რომ ეწეოდა ბრეჟნევისა და ანდროპოვის დროს. და, საერთოდ, პასუხიმგებლობა ყველაფრისათვის, რაც მათი აზრით საქართველოში ცუდი იყო, შევარდნაძეს აჰკიდეს. უძრაობის პერიოდის ლიდერი, ქართული მიწა-წყლის დარიგების ინიციატორი, მშობლიური ენის ამომშანთავი, კაცი, რომელიც ხალხს ხერეტდა ქრთამის აღებისათვის, მკვლელი თავისუფლებას მონატრებული თვითმფრინავის გამტაცებელი ჭაბუკებისა, დისიდენტური მოძრაობის ჯალათი, კრემლის ნების მონა-მორჩილი აღმასრულებელი, იმპერიის მოდერნიზაციის თანაავტორი, რომელსაც 9 აპრილის ტრაგედიის ჩრდილი ადგას... და ეს კიდევ არ არის სრული ნუსხა ყველა იმ „დამსახურებისა“ (მოგონილის თუ ნამდვილისა), გამსახურდიას მომხრეებმა უხვად რომ შეამკეს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე.

საქართველოში მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის რთული იყო საბჭოთა ხანაშიც კი. ერთი მხრივ, აღფრთოვანება და სიამაყე, რომ სწორედ საქართველომ მისცა ქვეყნიერებას ასეთი ნიჭიერი კაცი, უშიშარი და უჭკვიანესი პოლიტიკოსი, შორსმჭვრეტელი და ბრძენი დიპლომატი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი მსოფლიოში. მაგრამ მეორე მხრივ – შიში, უკმაყოფილება და სიძულვილიც კი. მეტისმეტად ბევრ პიროვნებას წაჰკრა მან მხარი, როდესაც 70-იანი წლების ბოლოს დაიწყო ბრძოლა მექრთამეობის, კორუფციის, ფარული ეკონომიკის წინააღმდეგ.

მახსოვს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად შევარდნაძის დანიშვნის ამბავი რომ გავიგე, ბიჭვინთაში ვისვენებდი, იქ ბევრნი იყვნენ ქართველები, განსაკუთრებით ინტელიგენციის წრეებიდან. ეს ყველასთვის მოულოდნელი დანიშვნა იყო. მასზე ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი არავის არ ჰქონია. შევარდნაძე იმ მომენტისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი იყო ქვეყანაში, მაგრამ ვერავინ განჭვრეტდა, რა საგარეო საქმეთა მინისტრი დადგებოდა მისგან. და მხოლოდ დრომ გვიჩვენა, რომ ეს იყო ყველაზე იღბლიანი დანიშვნა გორბაჩოვის მთელ საკადრო დანიშვნათაგან.

კიდევ ორი-სამი ასეთი კაცი რომ შემოეკრიბა, მისი საკუთარი ბედიც და ქვეყნის ბედიც შეიძლებოდა სულ სხვაგვარად წარმართულიყო.

1989 წლის დამლევს, როდესაც გაჩაღდა ბრძოლა ნ.რიჟკოვის მთავრობის გადადგომის მოთხოვნის ირგვლივ, ახალი მთავრობის მეთაურის პოსტზე ერთ-ერთ ყველაზე შესაძლო პრეტენდენტად ე. შევარდნაძეს ასახელებდნენ. უზენაეს საბჭოშიც და გორბაჩოვთან დაახლოებულ წრეშიც ამაზე ლაპარაკობდნენ გულდაჯერებით, როგორც უკვე გადაწყვეტილ საქმეზე, არ ვიცი, რამ შეუშალა ხელი დანიშვნას, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა – სამწუხაროა, რომ ეს არ მოხდა.

და, ბოლოს, შევარდნაძის პოპულარობის პიკი მოდის 1990-1991 წლების დეკემბერ-იანვარზე, დიქტატურის დამყარების საფრთხის სენსაციური განცხადებით გამოსვლისა და ეპატაჟური, ღირსეული გადადგომის შემდეგ, სწორედ მაშინ და მომდევნო პერიოდში ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს და დავახლოვდით, რადგან ერთად გვიწევდა მუშაობა სსრ კავშირის პრეზიდენტის პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოშიც და დემოკრატიული რეფორმების მოძრაობაშიც. ეს იყო ის იშვიათი შემთხვევა, როდესაც უფრო ახლო ნაცნობობას თან სდევს უფრო მზარდი პატივისცემის გრძნობა. მსჯელობის დამოუკიდებლობა, სიღრმე და, რაც მთავარია, საკუთარი ღირსების გასაოცარი გრძნობა – ასეთად წარმოუდგებოდა შევარდნაძე ყველას, ვინც მას ახლოს შეეხებოდა.

საქართველოში მისი დაბრუნების შესაძლებლობის საკითხი არაერთხელ წამოჭრილა. და ყოველთვის ისმოდა პასუხად: „არ ვარ დარწმუნებული, რომ ახლა შემიძლია გამოვადგე საქართველოს და რომ ჩემი დაბრუნება ვითარებას არ გაამწვავებს“. იგი ღრმად განიცდიდა აშკარა შეცდომებს, ხარვეზებსა და ნამდვილ სიბრიყვეებს, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა რომ სჩადიოდა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად აღელვებდა მას, ვაითუ შევცდეო საკუთარ არჩევანში, ვაითუ უნებლიედ ვავნოო ჩემს რესპუბლიკას. მე პეტერბურგში შევიტყვე, რომ შევარდნაძეს საქართველოში დაბრუნება გადაეწყვიტა. მესმოდა, რა საშიშ ნაბიჯს დგამდა, და დავურეკე. ჩემს კითხვაზე, თუ არის დარწმუნებული, რომ სწორად იქცევა, შევარდნაძემ ამოიოხრა და მითხრა: „არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ დღეს ჩემს ხალხთან ერთად უნდა ვიყო, რაც უნდა მოხდესო“. როდესაც გამსახურდიას დამამხობელმა ოპოზიციამ ედუარდ შევარდნაძეს მიმართა თხოვნით დაბრუნებულიყო საქართველოში და სათავეში ჩასდგომოდა სახელმწიფო საბჭოს, მას თითქოს ყველაფერი ჰქონდა საიმისოდ, რომ მისცემოდა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ღირსეულ და მშვიდ ცხოვრებას: საერთაშორისო აღიარება და უცილობელი ავტორიტეტი; საინტერესო საქმე – მის მიერ შექმნილი საგარეო-პოლიტიკური ასოციაციის პრეზიდენტობა და შესაძლებლობა – შეესრულებინა შესამჩნევი პოლიტიკური როლი ქვეყნის ცხოვრებაში როგორც დემოკრატიული რეფორმების მოძრაობის ერთ-ერთ თანათავმჯდომარეს. მაგრამ საქართველომ უხმო – და მან აიკიდა ზურგზე პასუხიმგებლობის უზარმაზარი ტვირთი უმძიმეს პირობებში, როდესაც ძნელი იყო ჰქონოდა წარმატების და, მით უმეტეს, იოლი ცხოვრების იმედი.

მე ვფიქრობ, ედუარდ ამბროსის ძეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა მისთვის შეთავაზებული წინადადების ნამდვილი ყადრი – გამსახურდიას დამამხობელი ოპოზიცია ხომ ძალზე ნაირგვარი იყო თავისი შემადგენლობითაც, პოლიტიკური შეხედულებებითაც და მიზნებითაც. და მათ შორის მრავლად იყვნენ ისინი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ სამარცხვინო ბოძზე აკრავდა შევარდნაძეს, როგორც პარტიულ ფუნქციონერსა და მოსკოვის აგენტს.

მაგრამ დადგა მომენტი, როდესაც ქვეყნის რეპუტაციის ხსნა, კატასტროფისაკენ შემდგომი დაქანების შეჩერება შეეძლო მხოლოდ ნეიტრალურ ადამიანს, რომელიც უცილობელი საყოველთაო ავტორიტეტით სარგებლობდა. თანაც, შექმნილ სიტუაციაში უაღრესად საჭირო იყო აემაღლებინა ანარქიითა და სისხლისღვრებით ძლიერ შელახული რესპუბლიკის პრესტიჟი. ამას კი სჭირდებოდა კაცი, რომელსაც კარგად იცნობენ მსოფლიოში და რომელსაც ენდობიან. ასე შეჩერდა ყველას აზრი შევარდნაძეზე, ერთადერთ ქართველზე, რომელიც დღეს ამ მოთხოვნებს უპასუხებდა.

მაგრამ გავკადნიერდები და შევნიშნავ, რომ ემზადებოდა რა ყველაზე უარესისათვის, შევარდნაძემ, რომელსაც საკმარისი ინფორმაცია ჰქონდა საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ, თავი ამოჰყო სიტუაციაში, რომელიც გაცილებით უფრო ძნელი, ჩახლართული და ტრაგიკული აღმოჩნდა, ვიდრე შეიძლებოდა ეფიქრა.

მე ასე იმიტომ ვფიქრობ და ვლაპარაკობ, რომ თავის დროზე აღმოვჩნდი მსგავს სიტუაციაში, როდესაც 1990 წლის გაზაფხულზე ლენინგრადის დეპუტატთა კორპუსის დაჟინებული თხოვნის შემდეგ განვაცხადე თანხმობა, რომ კენჭს ვიყრიდი ლენსაბჭოს თავმჯდომარის პოსტზე. 1990 წლის მარტის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ლენინგრადელ დემოკრატებს, რომლებსაც ჰყოფდა შეხედულებათა განსხვავება და პოლიტიკური თავგზააბნეულობა, აგრეთვე მორიგების უუნარობა, ვერაფრის დიდებით ვერ აერჩიათ ლიდერი. თვე თვეს მისდევდა, საბჭოს მოეთხოვებოდა პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება, მაგრამ მას, აღიზიანებდა რა ლენინგრადელებს მრავალსიტყვიანი და ფუჭი კამათით, ვერა და ვერ აერჩია თავმჯდომარე. პრეტენდენტები მრავლად იყვნენ, მაგრამ ვერავის ვერ შეეკრიბა საჭირო რაოდენობის ხმები.

და აი, მაშინ დეპუტატებს გაახსენდათ, რომ მე არ ვიყავი დაკავშირებული ქალაქის არც ერთ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან, ვმუშაობდი იმხანად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში და გადაყოლილი ვიყავი ახალი საკანონმდებლო აქტების მომზადებას. ჩემი მიწვევის ინიციატორებს ეგონათ, რომ მიაგნეს იდეალურ ვარიანტს, ცნობილ, ავტორიტეტულ კაცს, რომელსაც არ გააჩნია დასაყრდენი რომელიმე პოლიტიკურ პარტიაზე. მაშასადამე, დაასკვნეს მათ, ასეთი კაცი ყველაზე მეტად გამოგვადგება „საალუმო გენერლად“, ხოლო რეალური ხელისუფლება ჩვენ დაგვრჩება, და მას გაცილებით უფრო იოლად გამოვიყენებთ, ვიდრე ვინმე სხვას, ამ ადგილზე რომ დავაყენოთო.

შემდგომმა მოვლენებმა სულ მალე უჩვენეს დეპუტატებს, რომ მწარედ შემცდარან ისინი, ვინაიდან „მაყრიონის გენერლის“ როლი ყველაზე ნაკლებად მაკმაყოფილებდა.

მე, რა თქმა უნდა, არ ვადარებ 90-იანი წლების ლენინგრადის პირობებს 92 წლის დამდეგის საქართველოს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ოპოზიციის ბევრ ლიდერს, რომლებსაც სტატუსი გამოუვალობა აერთიანებდათ, ასევე იმედი ჰქონდათ, რომ შევარდნაძეს „საალუმო გენერლად“ გამოიყენებდნენ. და ისინიც მწარედ შეცდნენ.

მე ვფიქრობ, წინ საქართველოს და მის ხელმძღვანელებს კიდევ მრავალი მკაცრი განსაცდელი მოელის. დღესდღეობით ვერავინ იტყვის მოვლენათა განვითარების ზუსტ პროგნოზს, მაგრამ ერთში მე დარწმუნებული ვარ: შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება – ეს არის თავგანწირვის აქტი, და ეს არის საქართველოს უკანასკნელი შანსი, არ ამოვარდეს ცივილიზებული დემოკრატიული გარდაქმნების პროცესის ჩარჩოდან, არ გადაეშვას უხელისუფლებლობის, ძალადობის, კლანური და მაფიოზური დაჯგუფებების ბრძოლის ქაოსში.

საკმარისია გავიხსენოთ სამხრეთ ოსეთის ამბები, როგორ ჭირდა ჯანსაღი კანის სიფრიფანა ფენის გადაფარება საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთობათა მტკივან სხეულზე, როგორ სკდებოდა იგი ოდნავი შეხებისთანავე, და ჭრილობა კვლავ იწყებდა სისხლდენას, მოჰქონდა ახალი ტკივილი და ტანჯვაეაება ცალკეული პოლიტიკური ლიდერებისა და დაჯგუფებების თავნებობისა და ზრახვების გამოისობით, რომლებიც ყველაზე მაღლა აყენებდნენ თავიანთ საკუთარ ინტერესებს და არ სურდათ ანგარიში გაეწიათ არც თავიანთი საკუთარი ხალხის ინტერესებისათვის და არც სხვა ადამიანების ინტერესებისათვის.

იმ მომენტიდან, რაც შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო საბჭოს, მე არ შევხვედრივარ მას, შემეძლო მხოლოდ ტელევიზორით მენახა, როგორ იკვეთება ამ კაცის სახეში სულ უფრო ნათლად და სულ უფრო მეტად დაღლილობისა და რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების განცდების ნაოჭები. ის, რასაც იგი აკეთებს დღეს საქართველოში, ალბათ არის ერთადერთი შესაძლო გამოსავალი იმ ანარქიისა და ქაოსის სუფევიდან, რომელიც რესპუბლიკას დაატეხეს თავს გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა.

ღმერთო, შენ უშველე ამ ადამიანს და მის ქვეყანას, რომლის გულისთვისაც მიატოვა მან მშვიდობიანი ცხოვრება, საპატიო და უღრუბლო არსებობა და საკუთარ მხრებზე იტვირთა პასუხიმგებლობა ყველაფრისათვის, რაც ასეთ დროს ხდება. ასეთ დროსო, იმიტომ ვამბობ, რომ ხალხს, როდესაც იძინებს, რა შეუძლია თქვას, რა მოელის მეორე დილას.

... საქართველომ ჩვენ ყველას მოგვიმზადა პოლიტიკური ვაკუუმობისა და პოლიტიკური ფარისის გაკვეთილი. აკი სწორედ მან მოუვლინა მსოფლიოს ნადისიდენტარი პრეზიდენტი, რომელმაც შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში დაკარგა არა მარტო თავის პოსტი, არამედ თავისი ღირსებაც. იგი მოვალე იყო თავისი ხალხის გულისათვის, ძმათამკვლელი ომი რომ არ დაეშვა, მსხვერპლად გაეღო პრეზიდენტობაც, თავისუფლებაც, და, რაკი ასეთი ბედი ეწერა, – თავისი სიცოცხლეც ვერ გაიგო და ვერ გაიღო...ამის შედეგად თვითონაც დაჰკარგა ადამიანები და ადამიანებისთვისაც დაკარგული აღმოჩნდა.

სწორედ ეს მოუვიდა ზვიად გამსახურდიას.

„არ აიღო ის, რასაც ზეცა გიბოძებს, ნიშნავს, დაისაჯო თავი; არ იმოქმედო, როდესაც დრო დგება, ნიშნავს, დაიღუპო თავი“, – გვასწავლის ძველი ჩინური ანდაზა.

გასაოცარია, რა ზუსტად ესატყვისება მისი პირველი ნაწილის არსი გამსახურდიას, და მეორისა – შევარდნაძეს.

1992 წლის იანვრის დღეებში საქართველოში გადატრიალება მოხდა. დაამხეს კანონიერად არჩეული პარლამენტი და მთავრობა, დაითხოვეს პარლამენტი და შეაჩერეს კონსტიტუციის მოქმედება. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, როდესაც საზოგადოების სტრუქტურის მკვეთრი ცვლილების პროცესი მიმდინარეობს და მას თან სდევს ძალაუფლებისათვის ბრძოლა, მსგავსი გადატრიალება არც ისეთი იშვიათი მოვლენაა. საკმარისია გავიხსენოთ ლათინური ამერიკის ქვეყნების გადატრიალებათა კალეიდოსკოპი, მაგრამ ჩვენთვის უკიდურესად საშიშია გადმოვიღოთ ეს გამოცდილება, რომელიც გვიქადის ძმათამკვლელ ბრძოლას და მსხვერპლს.

ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლისას ყოველთვის არსებობს ძალისმიერი ვარიანტის ცდუნება – ეს ხომ ნაცადიც არის და უფრო მალეც და ბევრნი უკვე მზად არიან დათმონ ეს-ეს არის მოპოვებული თავისუფლება ცხოვრების ჩვეული წესის და ხელისუფლებისმქონეთა სახელმძღვანელო მითითებების გამოსაცოცხლებლად, რომლებმაც თითქოს იციან, რა და როგორ უნდა გაკეთდეს. დიდია ცდუნება, რამეთუ დიდია განსაცდელიც! ღმერთმა ნუ ქნას, ცდუნებას აჰყვეთ და სიმშვიდეს შევწიროთ დემოკრატია ყველა მისი ხიბლული ნაკლითურთ.

გამსახურდიას მაგალითი გვიჩვენებს, რა სწრაფად შეიძლება გაიკვლიო გზა დემოკრატიიდან ფაშიზმისაკენ (უკან დასაბრუნებელი გზა გაცილებით უფრო გრძელი და მტანჯველია), როდესაც ხალხი იძულებულია მიმართოს აუცილებელ მოგერიებას, გამოვიდეს იმ ხელისუფლების წინააღმდეგი, რომელიც მის დამთრგუნველ დანაშაულობათა გზას დასდგომია.

„როდესაც ბოროტმოქმედებათა და უზურპაციათა გრძელი წყება გამოავლენს განზრახვას ხალხის ღალატისა და შეუზღუდველი დესპოტიზმის ძალაუფლების კერძად ქცევისას, მას არა მარტო უფლება აქვს, არამედ ვალდებულიც არის დაამხოს ასეთი მთავრობა და მომავალი დროისათვის თავისი უშიშროება მიანდოს უფრო საიმედო დაცვას“ (ამერიკის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 ივლისის დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან). ხალხს ყოველთვის ძვირად უჯდებოდა ამ თავისი ოდინდელი და ბუნებრივი უფლებისათვის გამოყენება. მაგრამ რა მოსატანია ეს სიძვირე ფასთან, რომლის გადახდაც უხდება მას, თუკი ამ უფლებით დროზე არ ისარგებლა.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება).

9 აპრილის ტრაგედიის წინა დღეები.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №158-173.